



# არსენალი



№ 1 (122). 7 - 20 იანვარი, 2011 წ. სახმელრო-აerialიზიკური ქურნალი. უანი 1,5

**კოსმოსიდან დანახული  
გადამხვარი ქართული  
სოფლები**

1425/2  
2011



**დიდი კავკასიური  
ოზის საფრთხე**



**ახალი რუბრიკა —  
„სახმელრო ისტორიები“:  
ქვაბი შიქოინანების „ოინები“  
ანუ როგორ შეიქმნა МиГ-ი**

**კავანულები —  
სახმელრო პილოტების  
ბოლო იქვადი**



**გაღარჩენის  
ბოლო იმედი**

**24**



**კოსმოსიდან  
ღანახული  
საგაყვარლოს  
შინა**

**8**



**WikiLeaks-ის  
პორიბი  
სენსაციები**

**14**

**ახალი ღიღი ომის  
პოლოდინები**

**10**



**ვიქოიანების  
ინტრიგებს  
შენიგული  
რუსი ავია-  
კონსტრუქტორი**

**49**



**რა არ იხით  
„ალ-ჟაიდას“  
შესახებ...**

**34**



# სარჩევი

- 4** ახალი ამბები **კალიფორნია**
- 8** გადამწვარი ქართული სოფლები კოსმოსიდანაც მოჩანს **ფოტო-შაჰაი**
- 10** ახალი კავკასიური ომის საფრთხე ისევ დიდია **საშრტსა**
- 12** კავკასიური მოვლენების მიმოხილვა... **რეპორტი**
- 14** WikiLeaks-ის დილემა: დემოკრატია თუ ქვეყნის უსაფრთხოება? **სიანდალი**
- 16** 1992-93 წლების ომის ფინალი **აფხაზეთის რეგიონი**
- 18** „სამხრეებიანი ყურნალისტები“ საიდუმლო არქივებიდან იზიარებიან **საქართველოს პარლამენტიდან**
- 21** კიბერტერორიზმი **თანამედროვე მსოფლიო**
- 23** კვალიფიციური რჩევები **რეკონსტრუქციის მართვა**
- 24** გადარჩენის უკანასკნელი იმედი **ინოვაციური ტექნოლოგიები**
- 34** „ალ-ქაიდა“ – გლობალური ჯიშის მქადაგებულთა გავრითანება **ტერორიზმი**
- 37** ტანკები ბრძოლის ველზე **თანამედროველი მსოფლიო**
- 40** იაპონური ტანკები – ამერიკელი ტექნიკის ევროპული ფესვები **აფხაზეთის რეგიონი**
- 46** სიმალტეთა დამზერობი **სამხედრო ინჟინერები**
- 49** ძმები მიქოიანების „ოინები“, ანუ როგორ „შეიქმნა“ მიგ-ი **სამხედრო ტექნიკის ინჟინერები**
- 52** „არსენალის“ საახალწლო ხუმრობა **„არსენალის“ ინჟინერების მსოფლიო**
- 54** გლუვკულანი თოფი-რევოლვერი დასაქოქი გასაღები **სამხედრო ტექნიკის ინჟინერები**

## რედაქციის სვეტი

აფხაზეთისა და ცხინვალის ომების ვეტერანთა შიშვლილობის აქციის დღეს ძალით დაშლა მოსალოდნელ ომში დაპარტუხების გარანტიაა. როდესაც სამხედრო ხელისუფლება უსწორდება ომის ვეტერანთა აქციას, მისი საბრძოლო შედეგებზეა ქრება.

2011 წლის 3 იანვარს გამართა მოედანზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის შებრძოლითა მემორიალიდან მოშორებული ომის ვეტერანების მშვიდობიანი აქციის უხეშად დაშლას გამართლდება არა აქვს, ვეტერანები მხოლოდ ერთ რამეს მოითხოვდნენ — ხელისუფლების ყურადღებას. იმ ხელისუფლების, რომელიც „კარგების რეკლამა“ სწორედ ომის ვეტერანთა წყალობითაც მოვიდა ქვეყნის სათავეში!

*ირაკლი ალბაშვილი  
თამარ ჩაჩანიძე*

**წარუბრა!**  
გამონერეთ „არსენალი“  
და მიიღეთ შინ,  
ორ კვირაში ერთხელ!  
ტელ: 38-26-74;  
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად  
მასალების გადაბეჭდვა  
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად  
3.01.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“  
დამატება ©  
რედაქციის მისამართია:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49.  
ტელ: 38-83-07 (121)  
სარედაქციო განყოფილება:  
ტელ: 37-78-07; 38-78-70  
email: arsenal@kvispalitra.com  
ყურნალი გამოდის  
ორ კვირაში ერთხელ  
პარასკევს

# ავღანეთში გერმანულ სახმელროებს მომზადებული ბაზა უწყვეტობა უზრუნველყავს



ავღანეთში დისლოცირებული ბუნდესვერის სახმელრო მოსამსახურეები გერმანიის ცენტრალური ტელეარხის (ARD) პროგრამებს ვეღარ უყურებენ. გერმანიის თავდაცვის მინისტრ კარლა-ოიგორტს ცუდ უტყუებერებს თხოვნის მიუხედავად,

ტელეარხის ხელმძღვანელობამ ავღანეთში მათთვის მუშაობის გარეუბლებზე უარი განაცხადა. მიზეზად პროგრამების თანამგზავრული გადაცემისთვის საჭირო წლიური მაღალი გადასახადი — მილიონი ევრო დაასახელა.

ტელეარხის ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილებას უძალდ მძაფრი კრიტიკა მოჰყვა. ავღანეთში მყოფ სახმელროთა ინტერესების დასაცავად ხმა აიმაღლე პოლიტიკოსებმაც. განსაკუთრებით გამოიჩინა გერმანიის მმართველი პარტიის ექსპერტი თვადაცისა და უსაფრთხოების საკითხებში ერნსტ-რაინჰარდ ბეკი, რომელმაც განაცხადა, რომ ვარისკაცები, ისევე როგორც ქვეყნის სხვა მოქალაქეები, გადასახადების გადამხდლები არიან და იმსახურებენ იმ საზოგადოებრივი მათთვის სასარგებლოებას, რომელიც მათი თანხებისაგან ფინანსდება.

აღშოვობა ვერ დამალა ბუნდესვერის ერთ-ერთი ფრაქციის ხელმძღვანელმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა: „დაუჯერებელია, რომ გერმანიის მიზნით იმ სახმელროებს, რომლებიც ქვეყნის საზღვრებს გარეთ მისიას სიცოცხლის ფასად ასრულებენ, გერმანული ტელეარხის ყურების საშუალებას უსობენ“.

P.S. სერიოზული კრიტიკის შემდეგ ARD-მ დროებით აღუდგინა ტელეკომპროგრამების ტრანსლაცია ავღანეთში მყოფ თანამემამულე სახმელროებს.

## BAE System-ი ახალ ავტონომიურ საბრძოლო მანქანებს ქონის

ბრიტანული კომპანია ახალ პერსპექტიულ საბრძოლო მანქანებზე მუშაობს, რომელთა დანიშნულება სახმელრო ავტოკოლონის გადაადგილების უსაფრთხოებაზე ზრუნვა იქნება.

უკვე წარმოდგენილია სხვადასხვა სახის მანქანის კონცეპტები. პირველი დისტანციური მართვის შეიარაღებული რობოტა (Pointer-ი), რომელსაც ადამიანის სიცოცხლისთვის საშიფით დაზვერებით ამოცანების შესრულება დაევალება. რობოტის ოთხი მუხლონი პირობითი მდგომარეობაში გზის სწრაფად გაწვას უზრუნველყოფს, ხოლო ვერტიკალურ მდგომარეობაში კი — ერთგვარი კიდურების დანიშნულებას შესრულებს და რობოტი უსწორმასწორო ზედაპირზე გადაადგილებას შეძლებს. ამრიგად, „პოინტერი“ დაზვერვით ამოცანებს როგორც გარეთ, ისე შენობაში შეძლებს.

დაზვერვის სივრცის ბრიტანელი სახმელრო ინჟინრები კიდევ ერთ უპილოტო მანქანას ქმნიან, ოღონდ პირველია — განსხვავებით ეს მოდელი (Wraith-

ი) მონივრულად იქნება შექმნილი იმ-ოქმელებს.

კიდევ ერთი კონცეპტი მოდულური პლატფორმა (Bearer-ი), რომელიც სხვადასხვა სახის ტვირთის საზიდად გამოიყენება. ქვეითთა გადასაცემად განკუთვნილი დიდი ჯგუფმანქანა Safe-guard-ი სამეთაურო პუნქტის ფუნქციასაც შეითავსებს, საჭიროების შემთხ-

ვევაში კი სხვა სატრანსპორტო საშუალებებსაც გადაზიდვს.

მძიმე საბრძოლო მანქანა Charger-ი სარაკეტო სისტემითაა აღჭურვილი და დაზინებათა მიმართ მდგრადობით გამოირჩევა. შუადრებით მოძვრო და სწრაფ სატრანსპორტო საშუალება Raider-ი სხვადასხვა სახის ტვირთის გადატანაზე გათვლილია.



# დაკრძალვაზე „ვისრუნდახი პირობა“

რიგითი კვინი ელიოტი ავღანეთში, პილმენდის პროვინციაში თაღობების სარაკტო იერიშის დროს დაიღუპა. შოტლანდიის ქალაქ დანდში მისი დაკრძალვის ცერემონიაზე ჭირისუფალთა შორის ერთი უცნაურად ჩაცმული ახალგაზრდა მამაკაციც იყო. ეს კვინის უახლოესი მეგობარი ბარი დაიღუპინი იყო, რომელიც სალათისფერ მინიკაბასა და ვარდისფერ წინდებში გამოჩნობილი უკანასკნელ გზაზე აცილებდა დაღუპულ თანამებრძოლს.

ბარის სასაცილო და შეუფერებელი ჩაცმულობის გამო გაკვირვებული ან შეურაცხყოფილი სამგლოვიარო ცერემონიის მონაწილეთა შორის არავინ იყო: თურმე ჯერ კიდევ ავღანეთში გამგზავრებამდე კვინსა და ბარის, ხუმრობით თუ სერიოზულად, პირობა დაუდევიათ, თუკი ერთ-ერთი დაიღუპებოდა, მეორე დაკრძალვაზე კაბით წარდგებოდა.

ბარიმ ვაჟკაცურადაც დაიტირა მეგობარი და მისთვის მიცემული პირობაც პირნათლად შეასრულა.



# „შობლანდიელ ჯარისკაცს ბრუნსი არ უნდა ეხვას?“

შოტლანდიელებს ძალიან უყვართ და ამაყობენ თავიანთი ტრადიციული სამოსით — კალტით და ეროვნულ დღესასწაულებსა თუ სხვა ღირსშესანიშნავ დღეებში ახლაც სამოყვებო იცემავენ. თუმცა, უძველესი წეს-ჩვეულების თანახმად, „ნამდვილ“ შოტლანდიელს, მით უმეტეს, ჯარისკაცს, კალტი აუცილებლად მიშველს ხეულზე უნდა ჩაეცვა.

თურმე უწინ შოტლანდიის პოლკებში შემოქმედებებიც კი ტარდებოდა და ვაი იმ ჯარისკაცის ტყუილი ბრალი, ვისაც კალტის ქვეშ ტრუსი ეცმებოდა. პოლკში შემოქმედებას ოფიცერი ატარებდა და მწკრივში მდგომი ჯარისკაცებს საცეცაღური სარკით, ქვემოდან ათვალიერებდა.

# „მფრინავი თაფუბაჰი „ახალი ზედალიის“ თაფუბაჰი?“

ახლანან ახალზელანდიელმა სამხედროებმა გამოამუშეურეს ამოუცნობ მფრინავ ობიექტებზე ინფორმაციის შემოკველი დოკუმენტები, რომლებშიც 1954-დან 2009 წლამდე დაფიქსირებული შემთხვევებია მოყვანილი. დოკუმენტებში შემონახულია როგორც ამო-ს თვითმხილველთა ნაამბობი ისტორიები, ისე ფოტოსურათები და ნახატები.

სამხედროთა მიერ აქამდე გასაიდუმლოებულ მასალებში ინფორმაცია 1978 წლის ცნობილ შემთხვევაზეც აღმოჩნდა, როდესაც ახალი ზელანდიის სამხრეთ კუნძულის თევზ ცაში უცნაური ცეცხლოვანი ობიექტი გამოისახა. მაშინ ამ ფაქტს დიდი გამოხმაურება მოჰყვა არა მარტო ამ ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც — არაერთმა დასავლურმა გამოცემამ მანათობელ ამო-ზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.

ცეცხლოვანი ამო-ს ამბავი ახალზელანდიელ სამხედროებში დღეს მხოლოდ ღიმილს იწვევს. ქვეყნის სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ მოვლენა არა უცხოპლანეტელთა მფრინავ თაფუბაჰს, არამედ პლანეტა ვენერას უჩვეულო მდგომარეობას ან სინათლის სხივების ერთგვარ არეკვლას უკავშირდებოდა.

სამხედროებმა დოკუმენტებიდან, რომელიც ორი ათასამდე გვერდს ითვლის, ამო-ს ყველა თვითმხილველისა და მოხსენიებული პირის ვინაობა ამოიღეს.



სხვათა შორის, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უცხოპლანეტელთა შესახებ სამხედროთა არქივში არსებული ყველა დოკუმენტი მაინც არ გახდა. რამდენიმე მათგანი კვლავ გასაიდუმლოებულია და ჯერაც შესწავლის პროცესშია.



# ბრიტანელს ავლანეთში ჯავშანსაცვლიანი მეორეობი უწოდებთ

საზარდულისა და მენჯის არის დაზიანებისგან დაცავს.

ჯავშანსაცვლის კომპლექტი სპეციალური ტრუსით, ქმრითა და ნიჟარითაა წარმოდგენილი. დაცვა სამშრიანია და შრეების ცვლა იმისდა მიხედვით შეიძლება, თუ რა ამოცანას ასრულებს მებრძოლი. მაგალითად, პატრულირებისას დაცვის პირველი შრის გამოყენება ჯობს, რომელიც ბალისტიკური ქსოვილის ტრუსისგან შედგება. მეორე დამცვეი შრე ჯარისკაცს ქმარითი ერთეულმა, მისი დამცვეი ქსოვილი კი ფეხებზე მუშაა ამოტარებული და წელზე მაგრდება. ასეთი დაცვა იმ მოსამხუ-

რებისთვისაა გათვალისწინებული, რომლებსაც თვითნაკეთი ნაღმების აღმოჩენა ევლება.

მესამე დამცვეი შრე ნიჟარაა, რომელიც მეომრის სასქესო ორგანოებს იცავს.

მეორე და მესამე შრის გაკეთება სამხედრო ფორმის გარეთ არის გათვალისწინებული.

ბრიტანეთის სამხედრო უწყებამ 45 ათასი ასეთი კომპლექტი ავლანეთში თავის სამხედრო კონტინგენტს უკვე გაუგზავნა. ჯავშანტრუსების მორიგი პარტიების გაგზავნა უახლოეს მთავალში იგეგმება.

დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტრომ ათი მილიონი გირვანქა სტერლინგი არ დაიშურა, რომ ავლანეთში მყოფი თავისი ჯარისკაცები თავით ფეხებამდე საიმედოდ დაცული ჰყავდეს. ლაპარაკია ახალ ჯავშანსაცვალზე, რომელიც შემომარს აფეთქების დროს

## ახრანელმა უპილოტოების ესკადრილია შექმნა

ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებში უპილოტო მხვერავი საფრენი აპარატების (IAI Eitan) ესკადრილია შეიქმნა, რასაც თელ-აბე-ნოვის ბაზაში სპეციალური საწვებო ცენტრებია მიძღვნილი. უცნობია ესკადრილიის შემადგენლობაში შეყვანილი უპილოტოების რაოდენობა.

ისრაელმა Eitan-ის პირველი უპილოტო აპარატები შეიარაღებაში 2010 წლის თებერვალში მიიღო. საეკლიის მზია, რამ ფრენის მაღალი ხანგრძლივობის წყალობით (36 საათი) აპარატის არა-

ნის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების დაზვერვაც შეუძლია. ის თანამგზავრული ნავიგაციის ნავსტეშითა და თვითავლის აპარატურითაა აღჭურვული და სამინწეთა აღმოჩენა ოპტიკური, ინფრაწითული და რადიოდიამაზონური საშუალებებით შეუძლია.

უპილოტო საფრენი აპარატი Eitan-ი კომპანია Israel Aerospace Industries-მა შექმნა. აპარატის ტვირთაწეობა 2 ტონამდეა და მოწინააღმდეგის ობიექტებზე იერიშის მისატანად მისი რაკეტებითა და ბომბებით აღჭურვაც შეიძლება.



## ლაზის სექტორში რუსულმა რაკეტებმა შეაღწიეს

ისრაელის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მეთაურის გაბი ამკენაზის განცხადებით, ლაზის სექტორში ბოვეიკებმა ებრაული ტანკის გასანადგურებლად რუსული მართვადი ტანკ-საწინააღმდეგო რაკეტა Kornet-ი პირველად გამოიყენეს.

მართალია, რუსულმა რაკეტამ ტანკის ჯავშანი გახვრიტა, მაგრამ არ აფეთქდა და არც არაფერი დაშვევებულა, მაგრამ ამკენაზი შემოფოთებას არ მალავს და აცხადებს, რომ ისრაელის არმიას ამ ტიპის რაკეტებთან შეხება 2006 წელს ლიბანთან ომის დროს ჰქონდა და საკმაოდ დიდი საფრთხის მატარებელია.

ჯერ კიდევ 2006 წლის აგვისტოში,

მოსკოვში სტუმრად მყოფმა ებრაულმა დელეგაციამ დაიხვალა, რომ რუსული შეიარაღება, მათ შორის — ტანკ-საწინააღმდეგო კომპლექსები, „სექტორლას“ ნაბნელ ბოვეიკთა ხელში ხვდებოდა. გამორიცხული არაა, რომ ბოვეიკებს რუსული იარაღი მიაწოდა სირიამ, რომელმაც რუსეთისგან 1998-1999 წლებში ტანკ-საწინააღმდეგო კომპლექსები Kornet-E და Metis-M შეიძინა.

საიდან აღმოჩნდა ებრაელითა ბლოკადში მოქცეული ლაზის სექტორში რუსული იარაღი, უცნობია. საერთოდ კი, სექტორის ტერიტორიაზე არაღკველურ იარაღის მოხვედრის უშუალოდ არსი ევკიპტის საზღვართან არსებული მიწისქვეშა გვირაბებია.



# რუსები იბალიური ჯავშანავტობომბიდის ნაწილებს ნაბართვას აიღებენ



რუსეთი იტალიურ კომპანია IVEKO-ს მრავალფუნქციური ჯავშანავტობომბიდ LMV Lynx-ის შესყიდვებზე შეუთანხმდა. ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი პირველ ჯერზე კი იტალიური ჯავშანავტობომბიდის მიღებს, სამომავლოდ ათ რუსეთის ტერიტორიაზე ერთობლივი წარმოება იგეგმება. „ივეკოს“ წარმომადგენელმა ეს ინფორმაცია უკვე დაადასტურა და რუსებისათვის ჯავშანავტობომბიდის წარმოებისთვის საჭირო ტექნოლოგიების გადაცემასზე მზადდფონაც გამოთქვა. შეთანხმების შემთხვევაში, საგარაუდოდ, რუსეთი წლიურად 500 ერთეულ დაჯავშნულ ავტობომბიდს დაამზადებს.

ჯავშანმანქანა LMV კერამიკული ჯავშნის პანელების წყალობით დაცვის მეექვსე კლასს ფლობს. მანქანის ქვეშ 6 კვ ტროტილის კეკეფაღენტი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შემთხვევაშიც კი ეკიპაჟი უვნებელი რჩება. LMV Lynx-ი ზუთადგილიანია და 130 კმ/სთ-მდე ხიჩქარეს ავითარებს. მისი ფასი 300 ათას ევრომდეა.

## რუსებმა „კალაუნიკოპია“ ნაწილებს

როგორც ჩანს, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ანატოლი სერდუკოვი აღარ მალავს, რომ ლეგენდარულმა ავტობომბი „კალაუნიკოპია“ და სნიპერულმა შპს-სანა CVD-მა თავისი დრო კარგა ხანა მოჰკადა და ახლა დროა, ქვეყნის შვიარლებული ძალების არსენალიდან მუხუშებში გადანაცვლოს.

რუსულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ამის შესახებ თავდაცვის მინისტრმა სახელმწიფო დუმაში დეპუტატებთან დახურულ კარს მიღმა ისაუბრა, როდესაც ქვეყნის არმიის საკადრო და სოციალურ საკითხებს განიხილავდა. აღმოჩნდა, რომ სერდუკოვი ქვეყნის შვიარლებული ვასახლებლად საზღვარგარეთ არა მხოლოდ უპილიტობსა თუ შეუკლმფერწმზიდებს შეიძენს, არამედ ცეცხლსასროლ იარაღსაც.

„რაოდენ ვასაკვირიც უნდა იყოს, ბოლი დროს რუსეთი იმ სფეროში აღმოჩნდა ჩამორჩენილი, სადაც მსოფლიო ლიდერად ითვლებოდა. საუბარია ცეცხლ-



ლსასროლი იარაღის წარმოებაზე, — განუცხადა ჟურნალისტებს ერთ-ერთმა რუსმა დეპუტატმა, — თანამედროვე უცხოური მოდელები ყველა ტექნიკური მონაცემით ჯაბინან რუსულს. „კალაუნიკოპია“ წინა საუკუნეში დაჩნა. მისი მექაჟე სერიითაც კი შეუძლებელია

მიჯრით მიზანში სროლა და ბრძოლის დროს პროფესიონალები იძულებული არიან, ცეცხლი ერთეული ვასროლით აწარმოონ. თანაც, ცეცხლსასროლი იარაღის უცხოური მოდელები უფრო მსუბუქია, გამოსაყენებლად მარტივი და იაფი“.

## ბომაბი-კალაუნიკოპია — ახალი მიზანვა

როგორც ირკვევა, ისლამისტმა ტერორისტებმა ბრძოლის ახალი მეთოდი მოიფიქრეს — ისინი ტერაქტებისთვის იყენებენ ძაღლებს, რომლებსაც სხეულში ასაფეთქებელს უმონტაჟებენ. ამის შესახებ ამერიკული სპეცსამსახურების მიერ გასაფლმობებული ინფორმაცია, „თვარათს“ ჟურნალისტებმა ახლახან გაამკლავეს და განავიო ატრებს.

თურმე, ჯერ კიდევ ორი წლის წინ ამერიკელმა სამხედროებმა ბაღდადის აეროპორტის სატყვიართო ვანოფლუბაში ორ მკვლარ ძაღლს მიაგნეს. მოგვიანებით ვაიკო-

ვა, რომ ვალიაში ჩამწყვდეულ ცხოველებს, რომლებიც თვითმფრინავის სატყვიართო კონტეინერში უნდა ვაღავევანათ, სხეულში ძლიერი ასაფეთქებელი მოწყობილობა მქონდათ ჩამონტაჟებული.

როგორც ჩანს, აფეთქება სწორედ თვითმფრინავში უნდა მომხდარიყო, მაგრამ ტერორისტებმა ცხოველებს ბომბის „ააკრების“ ოპერაცია კარგად ვერ ჩაუტარეს და ნაკრების გასმის ვამო ისინი ბორტზე მოხვედრამდე დაიხიოვნენ.

# ბალახვარი ქართული სოფლები კოსმოსიდანაც მოჩანს



ახე შემზარავად გამოიყურება ადღეს სოფელი აგნევი



მატიარა ლიახვის  
ხეობის სოფელ  
ერთ-ერთი  
გადამწვარი სახლი

**კოსმოსიდან გადაღებული ფოტოს ზედა მხარეზე სოფელ კეხვის ჯერ კიდევ ხელუხლებელი სახლები მოჩანს (2007 წლის 26 ივნისი). ქვედა მხარეზე კი დამწვარი შენობებია ასახული (2009 წლის 19 სექტემბერი)**

ცხინვალის რეგიონის დიდი ლიახვის ხეობაში ქართველი ჟურნალისტების შედგენა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ძალზე გართულებულია. არა და, ვიდეოკამერა ძალზე ზუსტად დააფოქსირებდა გადამწვარ ქართულ სოფლებს: კეხეს, აზაბეთს, ქურთას თუ თამარაშენს.

დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში აქტიური საბრძოლო მოქმედებები აგვისტოს ხუთდღიანი ომის დროს თითქმის არ ყოფილა და ამიტომაც, წესით ეს სოფლები ყველაზე ნაკლებად უნდა დაზარალებულიყო, თუმცა შედეგი საპირისპირო, ტრაგიკული აღმოჩნდა.

ოსური მხარე რუსი სამხედროების დახმარებით სარეგლობოდა და II აგვისტოდან მიზანმიმართულად წვედა დიდი ლიახვის ხეობის ქართულ სოფლებში არსებულ ყველა შენობას. ამისთვის სპეციალურ ცეცხლსატყორცს საშუალებებსაც იყენებდნენ. კვსს არ იყვანეს, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ოსურმა მხარემ გამოიყენა იგივე ტაქტიკა, რომელიც 1992-93 წლებში მათმა აფხაზმა „კოლეგა-სეპარატისტებმა“, როდესაც ამ უკანასკნელებმა მიზანმიმართულად გადაწვეს ქართველი სახლები გაგრამში, განთიადში. მოგვიანებით სოხუმში, გულრიფშის, ოჩამჩირისა და გალის რაიონებში.

ცოტა ხნის წინ ინტერნეტსაიტზე Google-Map-ზე დაიღო ცხინვალის რეგიონის განახლებული კოსმოსური





ფოტო. ვველაზე საინტერესო კი ის არის, რომ განახლებული ფოტოს ჩრდილოეთი მხარე დიდი ლიანების ხეობის ქართული სოფლის — კუბეის ცენტრიდან იწყება.

მის შემოთ დღეს ისე ძველი ფოტო, რომელიც კოსმოსიდან ჯერ კიდევ 2007 წლის 26 თვისს არის გადაღებული (ანუ აგვისტოს თამდე) და მასზე სოფლის ვველა სახელი ხელუხლებლად მჩანს.

ქვემოთ კი დღეს 2009 წლის 19 ოქტომბერს გადაღებული კოსმოსური ფოტო, რომელზეც კუბეის, ისევე როგორც ხეობის სხვა სოფლების ვველა სახლის მხოლოდ ჩინჩხილა მჩანს, ანუ რაც დარჩა მათი სათითაოდ გადაწვის შემდეგ.

ანალოგიური ტრაგიკული სურათია პატარა ლიანების ხეობის ქართულ სოფლებში: ერთ დროს უძლიერესი ქართული სოფელი ეურდვი დღეს ნანგრევებად არის ქცეული.

მტერმა არც ფრონეს ხეობის ქართული სოფლები დაინდო. აუნევის ადგილზე გადამწვარი სახლების ნანგრევებილა მჩანს.

ვველოვე ეს წმინდა წყლის გენოციდი, მიმართული იმისკენ, რომ ქართულ მოსახლეობას თავის ისტორიულ საცხოვრისში დაბრუნების საშუალება აღარ მიეცეს.

გენოციდის კვალი კოსმოსიდანაც თვალნათლად მჩანს და თუ ვეროპაპერიკას მართლაც სურს სიმართლის გარკვევა, ამის საუკეთესო საშუალებაა აქვს. **ირაკლი ალბაშვილი**



**გადამწვარი თამარაშენის გვერდით მოსკოვი ცხინვალს ახალ მიკრორაიონს უშენებს**



**რუსეთი ცხინვალთან მე-4 საოკუპაციო ბაზის კეთილმოწყობას აგრძელებს**



# ახალი კავკასიური ომის საფრთხე ისევ დიდია



ყარაბაღში ცეცხლის  
შენწყვეტის რეჟიმი  
ხშირად ირღვევა

28 დეკემბერს აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ხელი მოაწერა განკარგულებას კაპიტან აჰმედ აბდულაევის მედლით „ემირობისათვის“ დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ) იმ თავდადებისათვის, რომელიც ოფიცერმა აზერბაიჯანის რუსუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების დროს გამოიჩინა.

კაპიტანი აჰმედ აბდულაევი შაჰიდი 2010 წლის 4 სექტემბერს ტერტერის რაიონის სოფელ ჩილიაბაურთის მახლობლად ბრძოლის დროს დაიღუპა.

სომხური ვერსიის თანახმად კი 4 სექტემბერს აზერბაიჯანელთა სპეცდანიშნულების ქვედანაყოფი მათ პოზიციებზე შეიპარა და კაპიტანის სიკვდილი ორმხრივი სროლისას მიღებულმა მძიმე ჭრილობამ გამოიწვია.

ეს ერთ-ერთი რიგითი შემთხვევაა, რომელიც ყარაბაღში ცეცხლის შეწყვეტის ხაზის გასწვრივ დროდღერო დაპირისპირებულ მხარეთა შორის ხდება.

ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს პრაქტიკულად ორივე მხარე არღვევს და სროლა მიმდინარეობს ავტომატების, ტყვიამურქვევებისა და სნაიპერული შაშხანების გამოყენებით, ხოლო დეკემბერში აზერბაიჯანის ტერიტორიაზე „გრადის“ ჭურვიც ჩამოვარდა.

გასულ წელს სომხებმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის დაახლოებით 7500 შემთხვევა დააფიქსირეს, როცა 2009-ში მხოლოდ 4500 იყო.

მსგავს მონაცემებს პერიოდულად ბაქოც აქვეყნებს და ვითარებას დამატრულად საწინააღმდეგო მხრით წარმოისახავს.

სროლას თან მსხვერპლი ახლავს და ორივე მხრიდან ყოველწლიურად დაახლოებით 40-მდე სამხედრო და სამოქალაქო პირი იღუპება, ხოლო 3-4ჯერ მეტი კიდევ ჭრილობებს იღებს.

პარალელურად სხვადასხვა ქვეყანაში აზერბაიჯანელთა და სომხთა დიასპორები ომის განახლების შემთხვევისათვის თადარიგს იჭერენ და თავ-თავიანთი ქვეყნების მხარდასაჭერ აქციებს ატარებენ.

რუსეთის ტერიტორიაზე  
აფეთქებული  
აზერბაიჯანული  
მატარებლის  
ვაგონი



2010 წლის გაზაფხულიდან აზერბაიჯანულ დიასპორებში ომში მონაწილეობისათვის მოზალსეთა ჩაწერა დაიწყო. ისინი შხად არიან იარაღით სომხების მიერ დაკავებულ ტერიტორიათა გათავისუფლებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

ერთ-ერთი აზერბაიჯანული დიასპორის წარმომადგენელმა ისიც აღნიშნა, რომ სომხური დიასპორისაგან განსხვავებით, რომელიც მთელ მსოფლიოში ფულს აგროვებს, აზერბაიჯანს კი ამის აუცილებლობა არა აქვს. ევროპიკა დინამიკურად ვითარდება და ქვეყანა ფინანსების ნაკლებობას არ განიცდის.

აზერბაიჯანულ დიასპორებში ეჭვს არავის ეპარება, რომ ყარაბაღი აუცილებლად გათავისუფლდება და ეს მხოლოდ დროზეა დამოკიდებული.

აქტიურობას არც სომხური დიასპორები აკლებენ. რუსეთში, საფრანგეთში, აშშ-სა და ურუგვაიში მცხოვრებმა მსხვილმა სომხებმა ბიზნესმენებმა რეზერვისტებისა და ვეტერანების შესაგროვებელი საკოორდინაციო ცენტრები შექმნეს. ინფორმაცია გროვდება საერთო ბაზაში, რომელიც რუსული, ინგლისურ და ესპანურ ენებზე შედგენილი. ფიქრობენ, რომ ბაზა 35 ქვეყნის 200 ათასზე მეტი სომხით შეივსება.

საბრძოლო მოქმედებათა განახლების შემთხვევაში ამ ხალხის ვადმოწყვან ირანის საპაეო სერვისს გამოყენებით იგეგმება.

ჩვენი საზღვრების უშუალო სიახლოვეს ყარაბაღისათვის ახალი ომის დაწყება საქართველოს საკმაოდ რთულ მდგომარეობაში დააყენებს.



**აზერბაიჯანში აფეთქებული სამგზავრო ავტობუსი**

საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელთა და სომხთა რაოდენობა პატარა არ არის და ისინი ყარაბაღში განვითარებული მოვლენების მიმართ გულგრილი ვერ დარჩებიან.

ჯერ კიდევ ყარაბაღის წინა ომის დროს ორივე მხარე საქართველოს ტერიტორიას ტერაქტების მოსაწყობად იყენებდა.

თბილისში დანაშაული რამდენიმე სამგზავრო ავტობუსი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე აფეთქდა, ხოლო მარნეულის რაიონში სომხეთსაკენ მიმავალი სამგზავრო მატარებლისა და გაზსადენის აფეთქების რამდენიმე შემთხვევა აღინიშნა.

აზერბაიჯანის გაღიზიანებას იწვევდა საქართველოს ტერიტორიის გეოლოგიური სიმრავლით მომარაგება, რომელიც შემდეგ ყარაბაღში ჯაჟმანტეჩიკის საჭიროებისათვის შედიოდა.

სომხეთი კი შხად იყო, მაგისტრალური გაზსადენის დასაცავად მარნეულის რაიონში თავის ჯარებს შემოჰყვანა.

წითელი ხიდის სახალწევს კეკელიძის სამივე რესპუბლიკის საერთო საზღვრების თავშეყრის რაიონში საქართველოს ტერიტორიები დანაშაულმა და ამის შედეგად რამდენიმე კაციც დაიღუპა.

საქართველოს ტერიტორიაზე გადის უმნიშვნელოაზნის ენერგოსატრანსპორტო მაგისტრალები, რომლითაც აზერბაიჯანული ნავთობის ტრანსპორტირება ხდება და ცხადია, მაგისტრალების მწყობრიდან გამომდინარე სომხეთისათვის სტრატეგიულ მნიშვნელობას შეიძენს.

ანალოგიური მიზნები ჰქონდა რუსეთს, როცა 2008 წლის აგვისტოს აგრესიის დროს ბაქო-თბილისი-სუფხის ნავთობსადენის მწყობრიდან გამომდინარე ასევე და და მილსადენის ოპერატიულ-

ტაქტიკური დანიშნულების რაკეტა ესროლა.

გასათვალისწინებელია, რომ სომხეთის ტერიტორიაზე დისლოცირებულ რუსეთის არმიისა და სასაზღვრო ჯარების შემადგენლობაში სამსახურს არცთუ მცირე რაოდენობის სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქე და სომეხი ეროვნების რუსეთის მოქალაქე გადის.

ომის დაწყების შემთხვევაში ეს აღ-

ამიანები გულგულდაკრეფილი არ იქნებიან და თავიანთი ქვეყნის ინტერესებისათვის იბრძილებენ.

აზერბაიჯანულ-სომხურ დაპირისპირებას გაგრძელება აუცილებლად მოჰყვება ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის ტერიტორიაზეც, სადაც ორივე ერის საკმოდ მრავალრიცხოვანი და ძლიერი დიასპორები მოქმედებს.

ბაქო უზარმაზარ თანხებს ხარჯავს სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების შესასყიდად. განავითარა სამხედრო მრეწველობა და სამხედრო პოტენციალის ზრდის პროცესი უსასრულო არ იქნება. შოვა დრო, როცა ამ ძაღლის გამოყენების საკითხი დადგება, თუ მანამდე პრობლემის გადაჭრის შვედობიანი გზები არ მოიძებნა.

მოსკოვის ძლიერი სამხედრო-პოლიტიკური მხარდაჭერის ქვეშ მყოფი სომხეთი დათმობაზე წასვლას და აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიათა გათავისუფლებას არ აპირებს, რითაც კონფლიქტის შვედობიანი დაძლევის შესაძლებლობებს კიდევ უფრო ამცირებს.

**თემურ ჩაჩანიძე**



**ომის განახლების შემთხვევაში ყარაბაღის არმია მზად არის აზერბაიჯანის სათანადო პასუხის გასცეს**





მოელით. ასე რომ, ახალ-ახალი ცნება-თაღელვა გველის.

თუმცა ჯერ კიდევ ბევრი კითხვაა პასუხაუცებელი: საიდან გაიყარა დიპლომატიურმა მიმოწერამ? ვინ იხიარა ამით? საერთოდ კი გასარკვევია: Wikileaks-ი მითია თუ რეალობა? ჯულიან ასანგს პირიუწული სკანდალი ბი უფრო აინტერესებს თუ რეალური საიდუმლოების გამჟღავნება?

### ასანგმა ხინი ბოთლიდან ამოუშვა

14 დეკემბერს ლონდონის სასამართლოს მოსამართლე პირად ჰქადაგა ათავისუფლა Wikileaks-ის დამფუძნებელი ჯულიან ასანგი იმ პირობით, რომ ის დაესჯება მისივე საქმეზე წარბოვებულ

# Wikileaks-ს ღილაკი: დამოკრახია თუ ქვეყნის უსაფრთხოება?

XXI საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხეზე სამწუხარო დილემის წინაშე დგავდნენ: ტერორიზმთან ბრძოლაში რა უფრო მნიშვნელოვანი და პირველადია, დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვა, თუ ქვეყნისა და საზოგადოების უსაფრთხოება?

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ის ხელისუფლება ბევრჯერ გახდა კრიტიკის ობიექტი. ბოლო წლებში გამჟღავნდა რამდენიმე ფაქტი (ერაყში აშშ-ის სამხედროთა მიერ სადამ ჰუსეინის მომხრე პატიმართა წამება; გუანტანამოს ციხეში სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ასეულობით ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დატყუალება; ევროპის ქვეყნებში ამერიკის დაზვერვის საიდუმლო ციხეებისა და დილემების არსებობა და სხვ.), რომელიც ამერიკის სამხედრო უწყების და სპეცსამსახურების ზოგიერთი თანამშრომლის არაკომპანურ და უკანონო ქმედებებზე მეტყველებდა.

სამწუხაროდ, ეს სკანდალური შემთხვევები აუღანეთის ომის დროს მომხდარი კიდევ მრავალი არადემოკრატიული ფაქტით „გამდიდრდა“.

### ჯულიან ასანგის ხინი

დღე არ გაუა, რომ Wikileaks-მა ახალი სკანდალური დოკუმენტები არ გამოაქვეყნოს.

შეგახსენებთ, რომ 2010 წლის ოქტომბრის ბოლოს სკანდალურად ცნობილი ინტერნეტსაიტ Wikileaks-ის შეფრუდაქტორმა ჯულიან ასანგმა განაცხადა, რომ სულ მალე ინტერნეტში რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებს. საიტმა მანამდე 2004-2009 წლებში ერაყსა და აუღანეთში აშშ-ისა და კოალიციური ჯარების მიქმედებების ამსახველი რამდენიმე ათასი კონფიდენციალური სამსახურებრივი დოკუმენტი გამოაქვეყნა. კრძოდ, დღის სინათლე იხილა თითქმის 400 ათასმა საიდუმლო დოკუმენტმა ე.წ. „ერაყული დოკუმენტები“. ამ ფაქტმა საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია.

ჯულიან ასანგის სიტყვას საქმე მოჰყვა და საიდუმლო დოკუმენტები ყვეფორებით შეესია ინტერნეტს. გაიხარეს სკანდალებსა და „დიპლომატიური სამზარეულოს“ ცხელ-ცხელი ჭორების მოყვარულმა პოლიტიკოსებმა და საიდუმლო დოკუმენტებს დახარბებულმა ჟურნალისტებმა და ექსპერტებმა.

ბევრი დოკუმენტი გამოქვეყნდა საქართველოზეც. საიდუმლო მასალები ასახავდა ამერიკელი დიპლომატების (აშშ-ის კლტების ჯონ ტუფტის და მასის) მიმოწერას, შეხვედრების ანგარიშებს 2008 წლის საქართველო-რუსეთის ომისა და შემდგომ წლებში. გარკვევებული ინფორმაციით, Wikileaks-ი საქართველოს შესახებ 1167, სომხეთზე – 1735-ის, ხოლო აზერბაიჯანზე კი – 1569 დოკუმენტის გამოქვეყნებას გეგმავს. ასე ითქვამს „ბედნიერება“ სხვა ქვეყნებსაც

შემდეგ სასამართლო სხდომაზე 2011 წლის 11 იანვარს. გირაოს რაოდენობა 250 ათას გირანგა სტერლინგს შეადგენს. გირაოთა გათავისუფლების პირობების მიხედვით, მან თავისი პასპორტიც უნდა დატოვოს. მის გადაადგილებას დააკვირდებიან სპეციალური ელექტრონული ჩიპის მეშვეობით. გარდა ამისა, ასანგს კომენდანტის საათი დაუწყეს და მის მიერ მითითებული მისამართიდან ყოველ საღამოს უნდა დაუკავშირდეს ადგილობრივ პოლიციის სამმართველოს.

Wikileaks-ის სკანდალმა კიდევ ერთხელ დავაგაწმუნა, რომ „ინფორმაციული შიმშილი“ უკვე გლობალური ფეროში გახდა. ჯულიან ასანგმა ძალზე სახიფათო „ინფორმაციული ღილაკი“ ამოუშვა ბოთლიდან და მას სხვადასხვა ქვეყანაში ბევრი მიმამტყელი გამოუწნდა.

ადმოწნდა, რომ საზოგადოებას შეეპირული შეფასებები ურჩევნია სიღრმისეულ ანალიზს, „დიპლომატიური სამზარეულოს“ ჭორებს და დიპლომატების სუბექტიური შეფასებები უფრო აინტერესებთ. ეიდერ სხვადასხვა წყაროთი გადაწმუნებული და შეჯერებული ობიექტური ინფორმაცია. ამ ჭორ-მართლს ეყვლა სათვისოდ იყენებს.

### „უსახური ჯაცის“ დარიგებები

რუსეთის „დე იურე“ პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევი 2010 წლის დეკემბრის დასაწყისში რუსეთის საგარეო დაზვერვის შტაბბინის ქწეია და ამ სპეცსამსახურის 90-ე წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებულ შეკრებაზე სიტყვითაც

გამოიდა. „უსახურმა კაცმა“, როგორც მედვედევს ამერიკელმა დიპლომატებმა შეარქვეს, რუსეთის „მტორღობებს“ ძველი წყალში თევზის დაჭერა დაეკავა და რჩევა-დარიგებებიც არ დაიშურა.

მედვედევმა საგარო დიპლომატიის სამსახურის საქმის შესწავლა უნჩა და თან დაალოა, რომ აღარ დაუშვან საქმის გაქონა.

ისე, უნდა ითქვას, რომ ასანეთის „საინფორმაციო ჯანყით“ ვეკლავზე მეტად ამერიკელები და მათი მოკავშირეები დაზარალდნენ, ხოლო რუსეთის ხელისუფლებამ შევებით ამოისუნთქა, წყნზე მტერი არაფერი სცოდნიათ. მართლაც, ამ „საიდუმლო დეკემბრიდან“ ახალ რას შეიტყობთ რუსეთის და მისი ლიდერების ტანდემის შესახებ?

ამერიკელი დიპლომატების საიდუმლო დეკემბერში რუსეთი მოხსენიებულია მაილზურ სახელმწიფოდ, რომელიც ემყარება კრიმინალურ ელემენტებს, ახალსებს ნათლობას და ჩინოფიციები ქრთამს „ჩემოდნებით“ იღებენ.

WikiLeaks-ის მასალებში რუსეთი დახასიათებულია როგორც კორუმპირებული და ავტორიტარული ქვეყანა, სადაც ჩინოფიციები, ოლიგარქები და ორგანიზებული დანაშაული ერთად მოქმედებენ.

მოსხენებში დალაპარაკია იარაღის არაფრად გაყიდვაზე, ფულის გათურებაზე, ქრთამსა და გამოძალავაზე, ფულით სავსე ჩემოდნებსა თუ მრავალმილიონან უცხოურ ვიდეოებზე.

განა ეს მთელმა მსოფლიომ არ იცოდა?

რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ პროვოკაციებს უკვე ოც წელზე მეტია მიმართავს და რა არის ამას ახალი?

არც ის უნდა იყოს ვინმესთვის გასაკვირი, თუ რა ბინძური და სისხლიანი მეთოდებით ცდილობს რუსეთი პოსტსა-

ბუთია სიერცეში იმპერიული ამბიციის დაქაოფოფლებას.

გასაკვირი ის არის, რომ ვეკლამ ვეკლაფერი კარგად იცის, მაგრამ რუსეთის მაინც კოჭს უგორობენ.

მაშინ რატომ გახდა WikiLeaks-ის პუბლიკაციები სანდლოური? ამ ინფორმაციის პუბლიკაცია აშშ-ის ამჟამინდელ ადმინისტრაციას ძალზე უარყოფითად წარმოაჩენს.

თავად განსაჯეთ, თუ ნებისმიერ კაციერს შეუძლია მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის საიდუმლო დოკუმენტების ხელნა ჩადგმა, მაშინ როგორ შეიძლება ამ ქვეყნამ მსოფლიო ლიდერობა შეინარჩუნოს, თუ საკუთარ საიდუმლოებებსაც ვერ ინახავს?

არ ციციო, რამდენად შეიძლება ეს ჯულიან ასანეთს გვემბეში, მაგრამ მისმა ინფორმაციულმა ბუნტმა ვეკლავზე დიდი დარტყმა აშშ-ს მიაყენა.

საიდუმლო დოკუმენტების გამოქვეყნების შემდეგ აშშ-ის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ პრესის გამო გამძღუნდა არაერთი სახელმწიფო საიდუმლო და ანტიტერორისტული ოპერაციების წარმატებით ჩატარება უკვე დიდი საერთოსი ქვეშ დადგა. არაფერ უარყოფს ტერორიზმთან ბრძოლის აუცილებლობას, მაგრამ ეს ადამიანის პირად უფლებების საერთაშორისო პრინციპების დაცვით უნდა მოხდეს.

აშშ-ის გენერალურმა პროკურორმა ერთი პოლერმა განაცხადა, რომ ინტერნეტსა და პრესაში გამოქვეყნებულმა საიდუმლო დოკუმენტებმა ამერიკის ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხე შეუქმნა.

უსტრალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კვეინ რადმა თანამემამულე ჯულიან ასანეთს მხარი დაუჭირა და განაცხადა, მსუგის დოკუმენტების გამო-

ქვეყნება აშშ-ის უსაფრთხოების სისტემის ადვიტორების საითხს სადავოდ ხდისო. მართლაც, აშშ-ის თავდაცვის უწყება აღიარებს, რომ მსოფლიოს ოფიციალური პირები აშშ-ს აღარ ენდობიან.

პენტაგონის ოფიციალური წარმომადგენლის პოლკოვნი დევი ლაპანის თქმით, „აშშ-ის საიდუმლო დოკუმენტების გაქონის გამო მსოფლიოს ოფიციალური პირები ამერიკულ დიპლომატებთან ურთიერთობაში უკვე სიფრთხილეს იჩენენ და განდა წარმდგენა, რომ აშშ საიდუმლო დოკუმენტების დაცვა ვერ უზრუნველვებს, რაც სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაზე უკვე აისახა“.

პენტაგონის წარმომადგენლები ეთანხმება სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენელი ფილიპ ქროლიცს. მისი თქმით, სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალურმა პირებმა უკვე მითხროვეს „მათთან შეხვედრებში მონაწილე ამერიკელ დიპლომატთა რაოდენობის შემცირება“. ქროლუმ ერთი შეხვედრა გაიხსენა, როცა მკორე მხარემ შეხვედრის წინ ვეკლავს უბის წინვაკების კარს მინდა დადევნება მოითხოვა.

სამაგიეროდ რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინმა მოიცალა საქილკოდ და ამერიკელ ჟურნალისტებს ცინიკურად განუცხადა: „ჯულიან ასანეთს დაპატიმრება საეფელთად არაფერული დემოკრატიული ნორმების დარღვევაა, თუ დემოკრატიაა, დემოკრატია იყოს. რატომ ჩასვენ ასანეთი ციხეში?“ ეს დემოკრატიაა“.

ამას ამბობს კაცი, რომლის მოთხოვნითაც უამარე ადამიანი ზის რუსეთის ციხეებში (თუნდაც ხოლერკუსი და ლეხედვეცი გაიხსენოთ). რუსეთის ხელისუფლება სასაცილო მდგომარეობაში კიდევ ერთმა „დემოკრატიის მამამ“ და მთავარმა სანიტარმა გენადი იოშჩენკომ ჩააყენა. არაფერ იცის, როდის გამოლიტერკოსდება საქართველოს „დიდი მგლობარი“ გენადი, მაგრამ მისი განცხადება ამერიკული დიპლომატიის დაბადონის შესახებ ერთ ქართულ ინტერვიუს გავგონებს: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო“.

მსოფლიო სკანდალის პარალელურად მატკოლოს ფულიან ასანეთს პოპულარობა და პოლიეუში ერთბაშად ოთხი ფილმის გადაღებას ამარტებს. ეს კი გაზრდის ასანეთის პოპულარობას და ფილმ მტკ თანამოაზრეს გამოუჩენს.

**ჯულიან ასანეთის WikiLeaks-მა ერაფისა და ივანეთის ომების ბევრი საიდუმლო გაამჟღავნა**



**ბესიმ ალადაშვილი**  
ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საითხეში, უშიშროების გადამღვარი პოლკოვნიკი



243-ე ბატალიონის სატანკო ასეულის ტანკისტა ჯგუფი

(დასაწყისი იხ. „არსენალი“  
N20-21, 25-26 2010 წ.)

**კაპიტანი ალექსი აპოლვაშვილი:**

„24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონი დაახლოებით 450 კაცს ითვლიდა და, ძირითადად, სოფლებს — არადუს, კონარას, მერკულას მცხოვრებლებით იყო დაკომპლექტებული. ბატალიონის განკარგულებაში ორი ტანკი, 2 БМП-2 და ერთი БМП-1 იყო, რომლის 73 მმ-იანი შურების დევიცისტაც მუდმივად განვიციდით. არტილერიიდან გვექონდა ძველი ორი 57 მმ-იანი ქვეშები, ოთხი ერთეული 82 მმ სადამსატორცნი, მათ შორის — ორი აფხაზური წარმოების. ნადამსატორცნის ლულები თვითმცლელი ავტომობილის ძარის ამწევი ჰიდრაულიკური დომკრატისგან იყო დამზადებული და ტყვარჩელის ქარხანა „ხარაიში“ დამზადებულ ნაღმებს ისროდა.

თვითნაკეთი აფხაზური ნაღმები კი საკმარე უხარისხო იყო — შეტი ნაწილი პაერში სკდებოდა და ზიანიც თითქმის არ მოჰქონდა.

ბატალიონი ოჩამჩირის რაიონში ფოქვეშის, ტამიშის, ახალდაბისა და სხვა ოპერაციების მონაწილეა.

1993 წლის სექტემბრის ბოლოს ტყვარჩელის მიმართულებით დაწვებულ ბოლო შეტევაში ბატალიონიდან 100-მდე მებრძოლი მოქმედებდა.

ფოქვეშთან პატარა წინააღმდეგობა შეგვხვდა. მისადგომებს შვალებით, შვერილებითა და რულსებით გამაგრებულ-დაცული ბლინდაეები და სანერები ფარავდა, ხოლო პოზიციებს მოწინააღმდეგის 15-მდე მებრძოლი იცავდა. მებრძოლი პირობითად შეიძლება დაერქვათ, რადგან სოფლის დამცველები მოხ-

უცების, ქალებისა და რამდენიმე მოზარდისაგან შედგებოდა.

უმნიშვნელო წინააღმდეგობის დაძლევა პოზიციები დევიკეთი 2-3 კაცი მოეკალით, 4-5 ტყვედ ავიყვანეთ, ხოლო დანარჩენები კი გაიქცნენ.

ჯგუშანტყენიკიდან (სამი ტანკი და ერთი БМП-2) ერთი ტანკი ჟანგბადის ბალონზე აგვიფეთქეს, შემდეგ ერთი ტანკი ჭაობში ჩავფარვინა და ამოსაყვანად მქორე მთავაყველით.

29-ში, საღამოს, სოფელი ფოქვეში მთლიანად ჩვენს ხელში გადმოვიდა. ამ დროს სოხუმის დაკარგვის ამბავი გავიგეთ და უკან გამოებრუნდით.

გზებზე ვინთ აუწვეული სურათი დაგვხვდა: მშვიდობიანი მოსახლეობა ქონების გადარჩენას ცდილობდა, ტოებდა სახლ-კარს და ქნაუვის ხიდისაკენ მიემართებოდა.

მომხდურნი სახლებს მარცვადნენ, გაქონდით ყველაფერი, რისი წაღებაც შეიძლებოდა და შემდეგ ცეცხლს

# 1992-93 წლების ომის ფინალი

უკილებდნენ. ცაგერა მთლიანად გადაწვეს, ხოლო არადუსში არანაკლებ 30 სახლი დაწვეს.

დაახლოებით ღამის 12 საათი იქნებოდა, როცა არადუს გზაჯვარედინთან სიბნელეში ქართული ლაპარაკი შემოგვესმა და აქედან ჩვენს შვეშბიანეთ, ხოლო რამდენიმე წუთის შემდეგ მათკენ წყევით საპასუხოდ ავტომატების ცეცხლი მივიღეთ და იმ ადგილზე მუხანათური და ხვრეტლი 37 კაცი დეტოეთ.

დაჭრილებთან ერთად გზის პირზე შამხანარში ვიყავი ჩაწოლილი და ვხედუედი, ცაგერიდან მერკულამდე თითქმის სამკილომეტრიანი გზა მონინააღმდეგის ტანკებით, ჯგუშანტრანსპორტიორებით, ქვეითთა საბრძოლო მანქანებით, ავტობუსებით, სატიკირო ავტომობილებითა და სხვა ტყეითი როგორ შევიესი.

ისმოდარუსული, ქართული, მკერული საუბარი. ამბობდნენ, რომ საჭირო იყო მშვიდობიანი მოსახლეობისათვის



ტანკები სამოქალაქო ომშიც მონაწილეობდნენ

დერეფნის შექმნა და ამიტომ ოჩამჩირეში შეესალმა 30 სექტემბრის დღისთვის გადაღეს“.

243-ე ბატალიონის ტანკისტი ლეიტენანტი მირაბა მუხომეიანი „სოფელ არაღუს ასეულზე ორი ტანკი №204 (ეკიპაჟი: მერაბ თეთოსანი, ჯონი ფურტყარაძე, ნუგზარ საღინაძე) და №205 (ეკიპაჟი: სოსო ოთხოზორია, რევაზ არჯვანიძე, კაპიტო ყურაშვილი) ოცი მიმავრებული.“

ასეულს პირველი ტანკი სოფელში მყოფმა ერთმა ჩვენმა ფორმირებამ 1992 წლის დეკემბერში პურმარაილის სანაცვლოდ დაუტრია (მამნი ასეთი რამ გასაკვირი არ იყო) და სროლაშიც გეგარჯიში — სამხრედ დამორებით მდგარი მიტოვებული დანგრეული სახლი გექონდა.

ტანკი ექსპლუატაცია ხელთ არსებული ლიტერატურით ასეულის მეთაურის მერაბ დუნდუას დანმარებით შევისწავლეთ და გამოცდილებაც წელსელა ბრიღლაში შევიძინეთ.

№205-მა პირველად დაზიანება 1993 წლის გაზაფხულზე მიიღო, როცა სოფელში ეკლესიის მახლობლად პოზიციანაზე იდგა და საბრძოლო მანქანიდან გადმოსული ეკიპაჟი ისვენებდა, ხოლო ტანკში ერთი სოფელი ახალგაზრდა დაძვრებოდა.

მოულოდნელად მტრეკულის მხარეს წითელი მთიდან დაახლოებით 1,5-2,0 კილომეტრის მანძილიდან აფხაზებმა ტანკიან გვესროლეს. პირველივე ჭურვი კომპურას მოხვდა და გაგლიჯა, ხოლო ყმაველი დაფითია, ალბათ ჭურვი ვეუზმანხურებტი იყო, მეორე ჭურვით კი მოხლუხები დაზიანდა.

ცხადია, ზუსტი სროლა მხოლოდ გამოცდილ ეკიპაჟს შეეძლო და ასეთი გამოცდილება აფხაზებს არ ჰქონდათ. ეჭვს არ იწვევს, რომ ჩვენს ტანკს კარგად მომზადებულ-გამოცდილმა სროლებიდან ჩამოსულმა ტანკისტებმა ესროლეს.

სოფელ არაღუდან ყველაზე ბოლოდ 1993 წლის 29-30 სექტემბრის გამოკვლით და გალისკენ ძველი გზით წაშოვიდით. მტრეკულის აღმართთან აფხაზების 8 ტანკი იდგა და დაუღლებებს იღებდნენ.

შემოვლითი გზებით გვკარასკენ წყვიდით, სადაც უკვე ზეიად გამსახურდას მომხრებმა დაგვაკეცეს და ტანკები მუხანაჟურად წაიყვანეს“.



აფხაზებმა რუსების სამხედრო დანმარებით თავიანი მიზნებს მაილნიეს და ენგურზე დროში აღმართეს

ბლიკირებული სოხუმიდან 27 სექტემბრის 243-ე ბატალიონის ტანკისტმა ვალიდა პეგასმა ტანკი №203-ით აფხაზეთის დედაქალაქიდან გამოდევნა შულო და ოჩამჩირეში დაბრუნდა.

მრავალრიცხოვან დაზიანებათა გამო №203-ის მწეობრში სწრაფად შეეცანა არ მოხერხდა, ამიტომ მამცმა ლატეველმა ტანკისტმა ბრძოლა სხვა ტანკით უკვე ოჩამჩირის მისადგომებიან გაავრძელა.

აფხაზეთის ტერიტორიაზე ბოლო სატანკო დანაკარგი 243-ე ბატალიონის ტანკი №200 იყო, რომელიც მოწინააღმდეგე ოზურეთის ავტიონსპექციის პოსტის ახლოს დაწვა.

სატანკო ეკიპაჟები ტექნიკის გადაჩინვას ცდილობდნენ. ერცელდებოდა ინფორმაცია, რომ ბრძოლის გასაგრძელებლად დასახლება ჯვარათან ქართული ძალები იყრიდნენ თაჟს. სოხუმის დაეკემის შემდეგ 23-ე ბრიგადის 236-ე ბატალიონის დარჩენილი ორი ტანკი კოდორის ხეობას აუჯდა და სეანეთისკენ წაიწოდა. ერთ-ერთი ეკიპაჟების რაიონში დარჩა და 1993 წლის ნოემბერში აფხაზეთის შემოტრევის დროს ათეუქეს.

მეორე ტანკმა №608-მ (ეკიპაჟი — ზურაბ კვიციანი, ვლადიმერ კოკოჩავილი, ანდრე დავიდიონო) სოფელ ჩხალაიამდე მიადგინა და იქ მდინარეში ჩაურდა.

კიდევ უფრო რთული საბრძოლო გეგარდის სატანკო პოლკის ბატალიონიდან დარჩენილმა ტექნიკამ შესარულა.

3 ტანკი (№443, №450, მესამე ტანკის ნომერი უცნობია), 3 БМП-2, 2 МТЛБ-9, საწვავშიდი ავტიონობლებისა და 200-მდე მებრძოლის (მათ შორის დაჭრილებიც იყვნენ) თანხლებით ჭაჭურხინჯიან ჯვარში გადვიდა, სადაც გეგარდიელთა განიარაღებას ქობლაის მებრძოლები შეეცადნენ.

მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, ხოლო გეგარდიელებმა ცაიმი-მესტია-ცაგერი-წყალტუბო-ქუთაისის ურთულესი მარშრუტით განაგრეს გზა. მესტიაში მდინარე მულხნის გადასვლას ხის ხიდმა ტანკის წინას ვერ გაუძლო და №443 მდინარეში ჩაურდა. სამწუხაროდ, ამ შემთხვევას ერთი ჯარისკაცის სიცოცხლე შეჭირდა და ტანკიც იქ დარჩა.

300-კილომეტრიანი მარშის შემდეგ გეგარდიელები წყალტუბოსთან ზეიად გამსახურდას მომხრებთან პატარა შტაბების შემდეგ 4 ოქტომბრის ქუთაისში შევიდნენ.

24-ე ბრიგადის 243-ე ბატალიონის 6 ტანკი ენგურის ხიდზე გადვიდა და გზა ანაკლიისკენ განაგრძო. ანაკლიამდე ერთი ტანკის ტრანსმისისა მწეობრიდან გამოდევნიდა და გზაში დარჩა, ხუთმა კი დამოხლუების ადგილს მშვიდობიანად მიადგინა.

30 სექტემბრის დღით აფხაზური ფორმირებები ოჩამჩირეში შევიდნენ და იმეუ დღეს მდინარე ენგურის ხიდზე გეგარდნენ.





ვიქტორ ლუი და ნიკიტა ხრუშჩოვი (კადრი მხატვრული ფილმიდან)

# „სამხრეაზიანი უკრაინისგანი“ საიღუალო აქივებიდან იმიოზაზიან

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N26, 2010წ.)

## ვიქტორ ლუი - საბჭოთა დუზინფორმაციის ცენტრისტი

საბჭოთა დუზინფორმაციის გაცემის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად აღიარებულია ვიქტორ ლუი (იგივე ვიტალი ლეინი) — საყოველთაოდ ცნობილი „სამხრეაზიანი უკრაინისტი“.

მისი ბიოგრაფია საინტერესოა თუნდაც იმიტომ, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში სპეკულაციის მუხლით მსჯავრდებული, საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული სპეციალისტის, „საერთაშორისო უკრაინისტიკის“ ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, ხოლო შემდეგ უკრაინულ დიპლომატიურ მუშაობა უკრაინის განუყოფელი სპეციალური კორესპონდენტად მოსკოვში.

ამერიკაში 1962 წელს გაქცეული კავებებს მძიორ იური ნოსენკოს მტკიცებით, ვიქტორ ლუი საბჭოთა უშიშროებაში ჯერ კიდევ სასჯელადსრულებით ბანაკში „დაავერბოკა“, სადაც ის „ნახსენა“ იყო. 60-იანი წლების დასაწყისიდან კი ვიქტორი უფრო სერიოზულ სპეცოპერაციებში ჩართეს. წლების მანძილზე ის ჯერ ერთ-ერთი შვედური გაზეთის, შემდეგ ინგლისური „სანდი ექსპრესისა“ და „ირვინგ ნიუსის“ სპეცკორი იყო მოსკოვში და საბჭოთა უშიშროების დაჯავლებებს ასრულებდა.

კავებე ყველმხრივ ცდილობდა უცხოური გაზეთებისა და საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენელ(?) ვიქტორ ლუის ექსკლუზიური ინფორმაცია არ მოკლებოდა და პირველს გავერცელებოდა.

1964 წლის 13 ოქტომბერს ვიქტორ ლუიმ ყველაზე ადრე გადასცა საზღვარგარეთ ინფორმაცია სკკ ცკ პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის „გადადგომის“ შესახებ. ეს გასაკვირი არ

იქნებოდა, რომ არა ერთი „პატარა“ ნიუანსი — ამ ცვლილების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია საბჭოთა კავშირის ახალი ამბების სააგენტომ მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაავრცელა.

ამგარი ხელგონური გზებით უკმინდნენ ვიქტორ ლუის ავტორიტეტს, სულ რამდენიმე წელიწადში ის გახდა „დამოუკიდებელი“ და ყოვლისმცოდნე მოსკოველი კორესპონდენტი, რომელსაც დიდი საიმონებით იმოწმებდა თუნდაც ყველაზე ანტისაბჭოური რადიოსადგური „თავისუფლება“. ვიქტორ ლუი კრემლის რუპორი და კავებებში შთიზნული დუზინფორმაციის გავრცელების მთავარი წყარო გახდა.

„რკინის ფრდის“ მიღმა მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უცხოეთის საინფორმაციო სამუშაოები პირველ რიგში ლუის უკავშირდებოდნენ და უზარმაზარ თანხებს იხდიდნენ მის რეპორტაჟებში. თუ როგორ სიმდიდრესა და საბჭოთა რეალობისთვის არანაშუად ვუფუნებამი ცხოვრობდა ვიქტორ ლუი საბჭოთა კავშირში, ამის შესახებ ქვემოთ მოგიხიბობთ.

ახლა კი ვიქტორ ლუის მიერ განხორციელებულ ზოგიერთ დუზინფორმაციულ ოპერაციაზე შეჩერდეთ.

## სტალინის ქალიშვილის გაქცევა

1967 წლის გაზაფხულზე იოსებ სტალინის ქალიშვილი სვეტლანა ალი-



სტალინის ქალიშვილი სვეტლანა 1967 წელს საბჭოთა კავშირიდან გაიქცა

ლუკა ინდივიდუალური და პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა. მისი გაქცევა იმდენად დიდი ღარტყმა იყო საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, რომ ბევრს ინფარქტი მოუვიდა და ბევრმაც თანამდებობა დაკარგა. ამას გადააყოლეს კა-გე-ბეს მამინდელი თუჯღლიძე ვლადიმერ სემინასტინი, რომლის პოლიტიკური ამბიციები ძალზე ამწებდა ლეონიდ ბრეჟნევის კა-გე-ბეს ახალი შუევის, თური ანდროპოვის ხელმძღვანელობით სასწრაფოდ დაეგვმა სვეტლანას დისკრედიტაციის ოპერაციები, სადაც ვიქტორ ლუი „პირველი ვიოლინოს“ პარტიას ასრულებდა. დასავლეთის პრესაში მამინდე გამომწამ მისი სტატეგია, სადაც სვეტლანა, როგორც პიროვნება, ძალზე არასახარბაელოდ იყო წარმოჩენილი. ამას მოჰყვა ინტერვიუ სვეტლანას შეილებთან, სადაც ისინი დედის საქციელს მკაცრად გამოხდნენ. საინტერესოა, კა-გე-ბეს უნებართვოდ, რომელიც მუდმივად მეთვალყურეობდა სვეტლანას, მის შეილებთან უცხოეთი გაზივით კორესპონდენტს ვინ გაუჭაჭნებდა? ასე ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება სვეტლანა ალიაღუევის სახელის შელახვას ვიქტორ ლუის უურნალობით კალმით.



ალექსანდრ სოლჟენიცინი



ანდრეი სახაროვი

### ვიქტორ ლუი ანდრეი სახაროვის წინააღმდეგ

ძალზე მნიშვნელოვანი იყო ვიქტორ ლუის მონაწილეობა ცნობილი საბჭოთა დისიდენტის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის წინააღმდეგ. თუმცა მამინდელი განეითარებულმა მოელენებმა „სამხრებიანი ურნალისტის“ სრული ლუსტრაცია მიახდინა.

ჯერ კიდევ 1977 წლის 9 იანვარს მოსკოვის მეტროში სომეხი ნაციონალისტების მიერ მოწყობილი ტერაქტების შემდეგ, ინგლისურ გაზეთ „ირინგ ნიუსის“ მოსკოვში კორესპონდენტმა ვიქტორ ლუიმ ამ ავთენტების მოწოდებამ საბჭოთა დისიდენტები დააბნაშაულა.

ანდრეი სახაროვი ცდილობდა ბრალდების უარყოფას, თუმცა უშედეგოდ — ეს უერსია უშად აიტაცა დასავლეთის მასმედიაში, რითაც დისიდენტებს ჩრდილი მიაღვათ და კა-გე-ბესაც სწორედ ეს უნდოდა.

1984 წელს ქალაქ გორკიმში გადასახლებულმა ნობელის პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა ანდრეი სახაროვმა შიმშილობის დაწყების შესახებ განცხადება უცხოელ ურნალისტებს გადასცა. ის მუდღელს, ელენა ბონერის სახელგარაგრეთ სამკურნალოდ გამოშვებას ითხოვდა.

თელი მსოფლიო შემოთხუბული აკვირდებოდა მსცოვანი აკადემიკოსის ჯანმრთელობის მდგომარეობას და მკაცრად აკრიტიკებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

დასავლეთის ქვეყნებში სახაროვის მხარდასაჭერი ფართო კამპანია გაჩაღდა. ამ ვითარებაში კა-გე-ბემ მიზნად დასახა ანდრეი სახაროვი წარმოეჩინა როგორც არა შიმშილობისკენ დაუძღვრებულ, არამედ ძალ-ღონით საყვეადაშიანად.

საბჭოთა სპეცსამსახურმა ვიქტორ ლუის ინტერვიუ მოუწყო სახაროვთან (გაუგებარია, რატომ დათანხმდა აკადემიკოსი „სამხრებიანი ურნალისტიან“ ინტერვიუს, როცა ვიქტორ ლუიზე მას ეჭვი ჰქონდა).

ვიქტორ ლუიმ ინტერვიუ დასავლეთი დასავლეთ გაზეთ „ბილდს“ უსარამხაროვანად მიჰქადა. ფასი გაზარდა კა-გე-ბეს მიერ ფართულად გადაღებულმა და შემდეგ დამონტაჟებულმა ფილმმა და ვიქტორ ლუის სახაროვი მშვეთვრად გამოიყურებოდა.

ვიქტორ ლუის — „დამოუკიდებელ ურნალისტს“ და ოფიციალურ საბჭოთა მილიონერს — ანდრეი სახაროვის დისკრედიტაციის ოპერაციამ დიდი შედეგები მიუტანა. დასავლეთკერძანული გაზეთ „ბილდს“ რედაქციის მიერ გადახდილი თანხა „დამოუკიდებელი ურნალისტის“ პირად ანგარიშზე გადაარიცხა ევროპის ერთ-ერთ ბანკში. არაერთ დანტერქეზებულა, როგორც მოხვდა ექსკლუზიური ფოტოები და ვიდეოჩანაწერები ვიქტორ ლუის ხელში. სახაროვის დაუკითხავად კა-გე-ბეს გარდა არაერთი შექმნილი ფოტოგადაღებების გაკეთება.

### სოლჟენიცინის დისკრედიტირება

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან საბჭოთა მწერალი ალექსანდრ სოლჟენიცინი კრემლის დიდი თვსატეხი გაზნა. მისი საკითხი პოლიტიკური და სხვა მხრე რადიკალიზაციის გაიტანეს(!). კა-გე-ბე მისი დაპატიმრების საბაბს ეძებდა. ამისთვის კი საჭირო იყო სოლჟენიცინის რომელიმე ახალი ნაწარმოების სახელგარაგრეთ დაბეჭდილი იყო. ამ შემთხვევაში „ანტისაბჭოთა პროპაგანდა“ ბრალდებით მწერალს „პირა გუას“ გაუქვეყნებდნენ და ციმბირის შარაკებში კარგა წნით გამოამწყვდევდნენ.

ვიქტორ ლუიმ ხელში ჩაიგდო „კიბოს კორპუსი“ ხელნაწერები და ცდილობდა სოლჟენიცინთან შეუთანხმებულად ევროპაში მის გამოქვეყნებას, თუმცა ყველა გამოცემილობამ უარი განუცხადა.

მხოლოდ 1974 წელს, მას შემდეგ, რაც ერთი წლით ადრე „არქაქელავი გულაო“ პარისში გამოქვეყნდა (თუმცა ამ საქმეში ლუი უკვე აღარ მონაწილეობდა), კა-გე-ბემ სოლჟენიცინი დააპატიმრა და ის საბჭოთა კავშირიდან მიღვევ გააძევეს.



# კიბერბერძენი



სახელმწიფოსთან ერთად ყველგვარ არსებობდა და იარსებებს უსაფრთხოების პრობლემა, რაც განპირობებულია შიდა თუ გარე წყაროებისგან მომდინარე საფრთხეებით. საფრთხეების კლასიფიკაციის მიხედვით განისაზღვრება სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურების მუშაობის პრიორიტეტები და მიმართულებები. მათგან გამოდინარე კი განისაზღვრა საერთაშორისო პრინციპები და ღირებულებები, რომელთა დაცვასაც სახელმწიფოები საერთო ინტერესებისა და უსაფრთხოების გათვალისწინებით ერთად უსახურებიან.

გლობალურ პრობლემათა მოსავარგულად საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება განვიხილოთ როგორც მსოფლიო ეკოპოლიტიკურ სფეროებში სახელმწიფოს სამართალი პოლიტიკის სპეციფიკური ფორმა.

ერთ-ერთ საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი, რომელთანაც ერთობლივად ბრძოლის სახელმწიფოთაშორის მრავალი დოკუმენტი (ხელშეკრულება) და შეთანხმება არსებობს. ტერორიზმის კლასიფიცირება მრავალი კრიტერიუმით შეიძლება. ის, ძირითადად, მითვითებულია პოლიტიკური, ნაციონალური და რელიგიური უთანხმოებებით.

თანამედროვე სახელმწიფოში კომპიუტერისაგან და ტექნოლოგიური პროგრესის ზრდასთან ერთად იზრდება მასზე დამოკიდებულება, რაც მთლიანობაში დაცვადობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის აუცილებლობასუ. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ და დანერგვამ შექმნა დანაშაულებრივი საქმიანობის ახალი სახე — კიბერბერძენი.

შავლი. ხშირად კიბერბერძენისა და კიბერტერორიზმის ცნებებს ერთ კონტექსტში მოიაზრებენ, რეალურად კი კიბერტერორიზმი კიბერბერძენის შემადგენელი ნაწილია, რომელიც თავისი მიზნებიდან და შედეგებიდან გამოდინარე განსხვავდება სხვა სახის კიბერბერძენისგან იმით, რომ ქმნის მძიმე შედეგების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს პოლიტიკურ, სტრატეგიულ ან ეკონომიკურ ინტერესებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში კიბერტერორიზმის შესახებ 324-ე მუხლს აქვს შემდეგი დისპოზიცია: „კიბერტერორიზმი, ესე იგი, კანონით დაცული კომპიუტერული ინფორმაციის მართლსაწინააღმდეგო დაუფლება, მისი გამსყვენა ან გამოყენების მუქარა, რაც ქმნის მძიმე შედეგის საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და ხელყოფს სახელმწიფოს სტრატეგიულ, ეკონომიკურ ან პოლიტიკურ ინტერესებს“.

**კომპიუტერიზაციისა და ტექნოლოგიური პროგრესის ზრდასთან ერთად მატულობს მასზე დამოკიდებულება**



ბა თუ ორგანიზაცია დღეს უფრო მეტად ორიენტირებულია კომერსიაზე. ტერორისტული აქტების მძვინვარება, გამომდინარე იქიდან, რომ ტერორისტს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ შეუძლია ვიპოვოს მოწყობა, ადამიანის სიცოცხლისთვის საფრთხის შექმნა და მისი ხელყოფა. კიბერტერორისტს კი შეუძლია მრავალჯერ მიაყენოს ზიანი კიბერნეტიკულ სფეროში სამხრეთ ქვეყანას, განსაზღვრული მოქმედებებით კი ხელყოს ადამიანის სიცოცხლე. გარდა ამისა, კიბერსფეროც, როგორც ბრძოლის ველი, ტერორისტებს ტერორისტული საქმიანობისთვის მძილეობისა და ფარულობის უპირობესობას ანიჭებს.

კიბერტერორიზმის პირველი ნიშნები გახლდათ საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში გამოჩენილი, რაც დაკავშირებულია კომპიუტერული ქსელის კავშირებთანა და კომპიუტერიზაციის როლის ზრდასთან ცხვერილის მრავალ სფეროში.

ტერმინი „კიბერტერორიზმი“ ინფორმაციული ტექნოლოგიების ლექსიკონში 1997 წელს შევიდა, როდესაც ფედერალური გამოძიების ბიუროს აგენტმა მ. პოლიტმა ტერორიზმის ეს სახე განსაზღვრა როგორც „ინფორმაციულ, კომპიუტერულ სისტემებზე, კომპიუტერულ პროგრამებსა და მონაცემებზე სუბსიციონალური დაჯგუფებების ან საიდუმლო აგენტების წინასწარ განსაზღვრული პოლიტიკურად მოტივირებული შეტევები, გამოხატული ძალადობის გამოყენებით სამხელაქი მიზნების მიმართ“.

ცნობილი ექსპერტი დ. დენინგი კიბერტერორიზმს განსაზღვრავს როგორც „კანონისწინააღმდეგო შეტევას ან შეტე-

ვის საფრთხეს კომპიუტერებზე, ქსელზე ან მასში არსებულ ინფორმაციაზე, პოლიტიკური ან სოციალური მიზნების მისაღწევად ხელისუფლების ორგანიზების იძულებით დაყოფის გზით“.

კიბერტერორიზმი ინტერნეტს ეყენება სახელმწიფოებისა და ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით ტერორისტული ხასიათის ვებგვერდების განთავსებით, სახელმწიფო მნიშვნელობის ელექტრონულ სისტემებში ფალსიფიცირებული მონაცემების შეტანით ან ამ სისტემების მუშაობიდან სისტემატური გამოყვანით და ქმნის შიშის ფაქტორს, რაც წარმოადგენს ტერორიზმის დამახასიათებელ ნიშან-თვისებას და განსაზღვრავს კიბერტერორიზმს, როგორც მის ერთ-ერთ სახეს.

კიბერსფეროს გამოყენების მრავალი მიზანი არსებობს. მაგალითად, [www.Crime.vi.ru](http://www.Crime.vi.ru) ტერორისტებისათვის კიბერსფეროს გამოყენების 10 ძირითად მიზანს გამოყოფს:

- ინტერნეტის დახმარებით პოტენციურ სამხრებზე ინფორმაციის შეგროვება მათი მეტაბოლისა და მასხასაიუმების განსაზღვრის მიზნით;
- ტერორისტულ მოძრაობათა მხარდაჭერისათვის ფულის შერყევად;
- ტერორისტული მოძრაობების შესახებ დეტალური ინფორმაციის შემცველი ვებგვერდების შექმნა;
- ფინანსური ინსტიტუტებისგან ფულის გამოძალავე, რათა მათ თავი აარიდონ კიბერტერორიზმის აქტებს და არ დაკარგონ რეპუტაცია;
- ინტერნეტის ფართო აუდიტორიის გამოყენება უკვე დაგვიძლია ან სამიჯლო მოქმედებების, ან უკვე მოწყობილ ტერაქტებზე პასუხისმგებლობის აღებაზე ინფორმაციის გავრცელების მიზნით აგრეთვე, მსგავსი შინაარსის ელექტრონული წერილების მასობრივად დასავრცელებად;

— ინტერნეტის გამოყენება ინფორმაციულ-ფსიქოლოგიური ზემოქმედებისთვის, მათ შორის — ფსიქოლოგიური ტერორიზმის“ ინიცირება. ინტერნეტის საშუალებით საზოგადოებაში შიშისა და პანიკის დანერგვა ან დენიფორმირების გზით ადამიანების შეცდომაში შეყვანა. ტერორისტული ორგანიზაციები აქტიურად იყენებენ ინტერნეტის მსოფლიო ქსელს ჭორებისა და მათ შორის — საგანგაშო ჭორების გავრცელებლად;

— ტერორისტული ოპერაციების მოსაზღაურებლად საჭირო ინფორმაციის გაცეცხა;

— ტერორისტულ საქმიანობაში ეჭვმიტანილი სხვა პირების მოხიდავა, მაგალითად, კომპიუტერული ხელიგების

დაყოლიება, რომლებმაც არ იცინა, რას ექსპლუატაცია მათი ახალი საქმიანობა;

— ელექტრონული ფისიტის ან ელექტრონული შეტეობინებების „დაფეხის“ გამოყენება დამოფულ შეტეობინებათა გასავლელად;

— ტერორისტული შინაარსის ვებგვერდების განთავსება, სადაც ლაპარაკი ფეიქებად ნიუთერებებს თუ საშუალებებს, შმაბებზე, მომწამველ აირებსა და მათი დამზადების ინსტრუქციებზე.

ინტერნეტში მრავალად არის მსგავსი ვებგვერდი, სადაც ამაკური ინფორმაციის მოპოვება შეიძლება.

უკრადღება უნდა გავამახვილო აგრეთვე ტერმინზე „ქსელური ომი“, რომელიც დევიდ ბრინფელდმა და ჯონ არკილამ შემოიტანეს. მათი განსაზღვრებით ომის ეს სახე „ტრადიციული საომარი ძაღის გამოყენებლად კონფლიქტების გაღვების ხერხია, უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით“.

კიბერტერორიზმი ქსელური ომის ერთ-ერთი ფორმაა და სხვა ფორმების სამხრინ განსხვავება — ტერორისტები საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის, მოსახლეობის დამინებისა და ხელისუფლებებზე გავლენის მოხდენის მიზნით მოქმედებენ. თუ მათ სხვა მიზანი ამოძრავებს (მაგალითად, სახელმწიფოს კერონისკური უსაფრთხოების ან თავდაცვითი სისტემებისა და ქონების დაზიანება ან განადგურება), მაშინ მიმართვენ ქსელური ომის სულ სხვა ფორმას — კიბერფიფერსიას (დეფერსიო კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით), ქონების განადგურებას და ა.შ.

აშშ-მა 2008 წელს შეიმუშავა საინიციატივი პროგრამა, რომლის მიხედვითაც უნდა შექმნილიყო სახელმწიფო დაწესებულებათა შორის კიბერსფეროს კონტრაზხვერეის საშახური და შემუშავებულიყო სახელმწიფო დაწესებულებების ქსელეგში უსაფრთხოების ღირის ამაღლების ღირისძიებები. გარდა ამისა, საინიციატივი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული იყო სახელმწიფო ინფორმაციული სისტემებში შედრევის პოტენციური მთიოდების დადგენა და ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში კვლევება.

ტრანსნაციონალურ კომპიუტერულ დანამაჟულიან და კიბერტერორიზმთან ბრძოლის ელექტრონული მთიოდების შემუშავება არის მსოფლიო კიბერსფეროს უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკანბო ელექტანტი. სწორედ ამიტომ კიბერსფეროს უსაფრთხოების კვლევა მსოფლიოში მრავალი ქვეყნის მუშაობის პრიორიტეტული მძიაროულებად გადაიქცა.

თორნიკა ბჟინიათიძე



ტერორისტებისათვის კიბერსფეროს გამოყენების ბევრი მიზანი აქვს



# გაეროს უკანასკნელი იმალი



საპაერო სფეროში ბატონობის სურვილი ადამიანს უხსოვარი დროიდან ჰქონდა. შეზუთი ოკეანეს არა მხოლოდ პაერზე მსუბუქი საფრენი აპარატებით თვისებდნენ. სხვადასხვა ტიპისა და კონსტრუქციის აეროსტატების გარდა, მსოფლიო ავიაციის არენაზე ნელ-ნელა აერობლანებიც გამოჩნდნენ. 1903 წელს მძებ რაიტების პაერზე მძიმე საფრენი აპარატი პირველად აფრინდა. 1908 წლისთვის თვითმფრინავების ფრენის სიჩქარე 60 კმ/სთ-ს მიაღწია, ერთი წლის შემდეგ კი ფრანგმა მორანმა თავისივე კონსტრუქციის მონოპლანზე 100 კმ/სთ-ს გადააჭარბა. ასე რომ, აერობლანების ფრენის სიჩქარე, სიმაღლე და დისტანცია ყოველწლიურად იზრდებოდა. სამწუხაროდ, ამ პროცესს თან ავიატორების მსხვერპლიც ახლდა. 1908 წელს ამერიკელი ტ. სელფრეიჯი დაიღუპა, რითაც ავიაციაში მსხვერპლთა სია გახსნა. შემდეგ წლებში საავიაციო შემთხვევებში დაღუპული პილოტების რიცხვი იზრდებოდა. მაგალითად, 1909 წელს 3 კაცი დაიღუპა, 1911-ში კი — 82. ამიტომაც დღის წესრიგში დადგა განწირული თვითმფრინავიდან პილოტის გადარჩენისათვის გზის ძიება. რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი საშუალება იყო პარაშუტი, რომლის პირველი ვსკიზი ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში ლეონარდო და ვინჩიმი დახატა. მიუხედავად

ამისა, ავიატორები ამ ინოვაციას ძალზე სკეპტიკურად უეუბდნენ. გასული საუკუნის დასაწყისში რუსეთში პარაშუტების პოპულარიზაციას იური დრევენიციმ შეუწყო ხელი. თავისი გამოგონების რეკლამირებისთვის ის პარაშუტით სადემონსტრაციო ხტომებს ასრულებდა. მეორე რუსი ენ-

თუხიასტი იყო გიორგი კოტელინკოვი, რომელმაც მსოფლიოში პირველმა ზურგანთის ტიპის პარაშუტი გამოიგონა და 1912 წელს მასზე საფრანგეთში პატენტის კი აიღო. პარაშუტი PK-1, 7 კვ-ზე მტის იწინადა, ზურგანთა კი — 2 კვ-ს. დიდი მასის მიუხედავად, მასინ ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო. პირველად

**გერმანული საინჟინრო გენის კიდევ ერთი ნიმუში — მსოფლიოში პირველი სერიული კატაპულტირებადი სავარძელი, რომელიც He-162-ზე გამოიყენებოდა**





მსოფლიო ომის დროს რუსმა პილოტებმა კოტლინოკოვის გამოკონების წყალობით პარაშუტით 65 ვადმონტრომ-ბ შპარაულეს, საიდანაც 29 სასწავლო, 36 თბილბებით და ყველა მათგანი კი შედეგადად იყო.

თანდათან პარაშუტები იხვეწებოდა და უფრო სრულყოფილი ხდებოდა, მაგრამ გამანადგურებელი ავიაციის სიჩქარისა და მანერულობის ზრდასთან ერთად, მხედლებოდა ავარიულ სიტუაციაში თვითმფრინავის დატოვების შესაძლებლობაც. აქამდე განწირული თვითმფრინავიდან გამოშვებისას მფრინავი ხსნიდა ფარანს (თუ ჰქონდა) და კაბინიდან ბორტზე ნტებოდა. თვითმფრინავის დატოვება ამგვარი სქემით 40-ანი წლების დასაწყისამდე გავრძელდა, ამ დროისათვის ყველაზე სწრაფი გამანადგურებლების სიჩქარე 400-500 კმ/სთ-ს შეადგენდა. მალე სიჩქარე 600 კმ/სთ-მდე გაიზარდა და გაიზარდა კაბინის დატოვებისას მფრინავზე მოქმედი აეროდინამიკური ძალებიც.

იმ პერიოდში ვერმანიაში ნატარებული სტატისტიკური ანალიზის თანახმად, 40%-ის შემთხვევაში ბორტიდან თვითმფრინავის დატოვება მსხვერპლით სრულდებოდა. საჭირო იყო ახალი სისტემა, კერძოდ, საფარლიანად კაბინის დატოვება.

ჯერ კიდევ 1928 წელს კლენში გამართულ გამოფენაზე პირველად წარმოადგინეს პილოტის საფარძელი, რომელზეც პარაშუტით მაკრდებოდა. საფარძელი კაბინაში შეკუმშული ჰაერის ბალონებზე იყო მიერთებული და ბერკეტზე დაწოდის შემდეგ პილოტს საფარძლიანად 6-9 მ სიმაღლეზე აისროდა.

კატაპულტირებადი საფარძლებით განსაკუთრებით მესამე რაიზი დანტენილდა. ფირმებმა „ჰიენკლმა“ და „დორნიუმ“ პირველებმა შექმნეს რეაქტიული გამანადგურებლები. საფარძელში მჯდომი მფრინავის კატაპულტირება საფარძლის უკან განლაგებულ დეკუმულ მოქმედი პიროპატრონის ან შეკუმშული ჰაერის ძალით ხდებოდა. ავარიულ სიტუაციაში მფრინავი ფეხებს სპეციალურ სადგამებზე აწყოდა, ავარიულ რეჟიმში ხსნიდა ფარანს და კატაპულტის ასამოქმედებელ ბერკეტს აწებოდა. ცნობილია კატაპულტირებადი საფარძლების ორი გერმანული ვარიანტი: ერთი პიროპატრონის (თვითმფრინავი He-162) და მეორე — შეკუმშული ჰაერის (He-219, He-280) გამოყენებით. პირველ ვარიანტში პიროპატრონის მუხტის მასა 34 კგ-ს შეადგენდა. დენითის აალების შემდეგ

წნეით მოქმედ აირი ზამბარას კუმ-სუდა და კატაპულტირებადი საფარძელი მოძრაობას იწყებდა. კატაპულტირების სიჩქარე 13.2 მ/წმ-ს შეადგენდა. ამ სისტემის უპირატესობა მცირე მასასა და კონსტრუქციის სიმაკრტურობა მდგომარეობს, მუხტის ფეხები ზედაში კი ტემპერატურაზე იყო დამოკიდებული. შეკუმშულ ჰაერზე მოქმედ სისტემას მსგავსი ნაკლი არ გააჩნდა, მაგრამ უფრო მეტს იწონდა. მსოფლიო პრაქტიკაში პირველი კატაპულტირება He-280-დან 1942 წლის 13 იანვარს, მფრინავმა პელმუტ შენკმა მოახდინა. ეს დეკ მსოფლიოში კატაპულტირებადი საფარძლების ისტორიის ათწლეულის წერტილად თთვლება. მეორე მსოფლიო ომის ბოლოსთვის გერმანული პილოტების ანგარიშზე 60-ზე მეტი კატაპულტირება იყო.

მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებმა და საბჭოთა კავშირმაც შეაფასეს კატაპულტირებადი საფარძლების პერსპექტიულობა და ომის შემდეგ გერმანულ მასალებსა და სპეციალისტებზე ნადირობა დაიწყო. ყველაზე მარჯვე ინგლისური კომპანია „მარტინ-ბეიკერი“ აღმოჩნდა. კატაპულტირებადი საფარძელზე მუშაობა ინგლისელებმა 1944 წელს დაიწყეს და ერთი წლის შემდეგ „მარტინ-ბეიკერის“ საფარძელმა და მასზე მჯდომმა მანქანმა გამოცდა ჯერ მიწაზე, შემდეგ კი ჰაერში გაიარა. 1946 წელს კი ნატარდა პირველი გამოცდა ადამიანის მონაწილეობით, ეს მფრინავ-გამომცდელი ბერნარდ ლინგი იყო. კატაპულტირება 2500 მ-ის სიმაღლეზე, 520 კმ/სთ სიჩქარით მფრენი Gloster Meteor III-დან მოხდა. სპეციალური პიროტექნიკური საშუალება საფარძელს თვითმფრინავიდან 15-18 მ სიმაღლეზე 20 მ/წმ სიჩქარით აგდებდა, რის შემდეგაც მფრინავი სცილდებოდა საფარძელს და დამუხრუტებისთვის მცირე პარაშუტს ხსნიდა, შემდეგ კი — ძირითადს.

არანაკლებ აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ატლანტის ოკეანის გადღმა. 1946 წლის 17 აგვისტოს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ზემდგემა ლოურენს ლამბერტმა პირველი ამერიკული კატაპულტირებადი საფარძელი გამოცდადა. მის შექმნაში ამერიკელებმა ინგლისური მასალა გამოიყენეს.

1955 წელს მედიამი ზებგვითი სიჩქარეზე კატაპულტირების ორი სანტრეტესო შემთხვევა აღიწერა. პირველი მათგანი იყო ამერიკული სერული F-100A Super Sabre, რომელიც



პირველი ბრიტანული სერული კატაპულტირებადი საფარძელი Mk.2


ავარიულ სიტუაციაში კატაპულტირებადი საფარძელი მფრინავის გადარჩენის უკანასკნელი იმედი, ამიტომაც თვითმფრინავზე დაყენებამდე მისი 100%-ით გამოცდა ხმელეთზე ხდებოდა







**ბომბდამშენი B-58 და სამაშველო კაფსულა (მარჯვენა ფოტო), რომელიც მასზე იყო დამონტაჟებული**



საქარხნო გამოცდას გადიოდა, მეორე კი — ბრიტანული Hunter-ი. ორივე შემთხვევაში კატაპულტირება ზებეგრითი სიჩქარის პიკრებისას მოხდა. მართალია, ამ უკანასკნელზე ოფიციალური განცხადება არ გაკეთებულა, მაგრამ ცნობილია, რომ კატაპულტირება 7500 მ-ზე, 1140-1230 კმ/სთ სიჩქარისას განხორციელდა. თვითმფრინავს პირველი ბრიტანული სერიული Martin-Baker Mk. 2-ის ტიპის საერძელი ჰქონდა. ფარნის ხელით გახსნის შემდეგ პაერის ძლიერმა ნაკადმა მას ხელი მოსტება, შემდეგ კი ხელთათმანები, მუზარადი და ფანგბადის ნიღბი მოჰკლიჯა. პაერის დარტყმის გამო მფრინავმა სახის ტრავმა მიიღო. საერძლის ავტომატიკამ საშტატო რეჟიმში იმუშავა და 3000 მ-ზე პარაშუტი გაიხსნა, მაგრამ როგორც ნათელი შეიქმნა, მაღალ სიჩქარეზე პაერის ნაკადისგან მფრინავი დაუცველი იყო.

მალე Mk. 2 უფრო თანამედროვე სავარძლებმა შეცვალა — Mk. 3-დან Mk. 10-მდე, რომლებიც ალტურული იყო მზრებისა და ფეხების საერძლის საზურგეზე მიკბიმის ავტომატური სისტემით. მფრინავს აღარ სჭირდებოდა ხელით ფარნის გაღება — ყველაფერს

ავტომატიკა აკეთებდა. მფრინავი მხოლოდ კატაპულტირების სახელურებს ქაჩავდა.

რაც შეეხება F-100A-ზე მომხდარ შემთხვევას, რომელსაც ფრენკ სმიტი მართავდა, 11300 მ სიმაღლეზე თვითმფრინავი უეცრად პიკრებაში გადავიდა და სანამ მფრინავი მის გამოსწორებას ცდილობდა, ფრენის სიჩქარემ 1300 კმ/სთ-ს მიაღწია. მიწიდან სმიტმა კატაპულტირების ბრძანება მიიღო და სიჩქარის შესამცირებლად სამუხრუჭე ფარები გახსნა. მფრინავმა კატაპულტირებისთვის საჭირო მდგომარეობა არ მიიღო და ისე გახსნა ფარანი. ძლიერმა პაერის ნაკადმა ის საერძლის ზურგზე მიაბჯინა, მაგრამ კატაპულტირება მაინც მოხდა. სმიტი წყალში დაეშვა და ის მეთევზეებაში ამოიყვანეს. ტანსაცმელი სულ დახუცილი ჰქონდა, პირადი ნივთები, მათ შორის საათი, ბეჭდები, ყანგბადის ნიღბი, ჩაფხუტი, ბათიანკები და წინდებიც კი გამოქრალი იყო. სმიტმა თვითმფრინავი 1250 კმ/სთ ტოლი სიჩქარისას დატოვა და მასზე პაერის დამამუხრუჭებელი ნაკადი 40 ერთეულის გადატვირთვით მოქმედებდა. ამერიკულ საერძელს არ გააჩნდა სტაბილიზაციისა და და-

მუხრუჭების სისტემა. პოსპიტალში შემოწმებისას სმიტს მრავალი დაზიანება აღმოაჩნდა. მათ შორის — ელენია და ლევილი, თვალემა 20-ზე მეტი შიდა სისხლჩაქცევა ჰქონდა. შეიდოიანი მკურნალობისა და რამდენიმე ოპერაციის შემდეგ ის კვლავ მწივობაში ჩადა.

ორივე შემთხვევის განხილვისას ნათელი ხდება, რომ თვითმფრინავების ფრენის სიჩქარის ზრდასთან ერთად საჭირო იყო მფრინავის სხეულის უკუფხად დატვირთვა, განსაკუთრებით კი — მის და თავის არის. 1955 წლიდან დასაჯულურმა საავიაციო მწვეველობამ დაიწყო მუშაობა კატაპულტირებადი საერძლების გაუმჯობესებასა და მფრინავების დასაცავ ახალ საშუალებებზე განხილვითა და ქვევით კატაპულტირების, სამაშველო კაფსულების, გასართო კაბინებისა და სხვა ვარიანტები. იმდროინდელი გამანადგურებლების ფრენის მზარდი სიჩქარისა და სიმაღლიდან გამომდინარე გადარჩენის არსებულ საშუალებები ევდარ აკმაყოფილებდა მათთვის წაყენებულ მოთხოვნებს. ვითარება ნაწილობრივ გააუმჯობესდა და ტვირთის საწინააღმდეგო კოსტუმებმა, მაგრამ მათ გამოყენებას ზე-

**F-111 მსოფლიოში პირველი და გადასარჩენად კატაპულტირებადი**

**ერთადერთი სერიული თვითმფრინავია, რომელზეც ეკიპაჟის კაბინა (მარჯვენა ფოტო) გამოიყენებოდა**






რი მოწინააღმდეგე ჰყავდა. ამიტომაც ინჟინერებმა კაფსულებსა და გასართ კაბინებზე დაიწყეს მუშაობა. ყველაზე მარტივი გამოსავალი ქვევით კატაპულტირებაში მდგომარეობდა, რომლის დროსაც სხეულის ნაკლები დატვირთვა აქვს. 1953 წელს ბომბდამშენ B-47-ზე სწორედ ასეთმა მოწყობილობამ გაიარა გამოცდა.

მაგრამ ზებეგვითი სიჩქარეზე ზევით და ქვევით კატაპულტირებად საფარძლებს ერთი და იგივე პრობლემა ექმ-

თინამედროვე კატაპულტირებადი საავიაციო მიმართი წაყენებულ მოთხოვნათა შორის, ერთ-ერთი „0-0“ რეჟიმზე გადაარჩენის უზრუნველყოფაა



სავიაციო KT-1, მისი Ty-22-ზე განთავსების საკმაოდ თვისებური სქემის გამო (კატაპულტირება რეჟიმით) ხდებოდა, რაც ყოველთვის ვერ უზრუნველყოფდა ეკიპაჟის გადაარჩენას


ნებოდა და ამიტომაც აქცენტი გაკეთდა კაფსულაზე და პირველები ამ სფეროში ამერიკელები იყვნენ, მათ კაფსულის სტრუქტურა წარმოებდაც დაიწყეს. 1960 წელს აშშ-მა შეიარაღებაში მიიღო მსოფლიოში პირველი სერიული ბომბდამშენი B-58, რომლის ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 2240 კმ/სთ-ს შეადგენდა. თუდაპირველად თვითმფრინავზე ტრადიციული კატაპულტირებადი საავიაციო გამოიყენებოდა, მაგრამ რამდენიმე ინციდენტის შემდეგ, რომლის დროსაც მარცხიანი კატაპულტირების გამო რამდენიმე მფრინავი დაიღუპა, კაფსულების გამოყენება გადაწყდა. კაფსულაში ჩამონტაჟებული იყო საფრთხე, რომელშიც ეკიპაჟის წევრი ჯდებოდა. ავარიულ სიტუაციაში მფრინავი ფუტბის სპეციალურ სადგარებზე აწყოდა. საფრთხეს ზემოთ ჰქონდა ოთხი მოძრავი სექცია, რომლებიც კატაპულტირების წინ მარაოსავით იშლებოდა და საფრთხის ტრანსფორმაცია კაფსულაში ხდებოდა. 1962 წლიდან ყველა სერიული ბომბდამშენზე, სასწრაფო მიღ-

ფიკაცია TB-58-ს გარდა, კაფსულებს იღვენება დაიწყეს. კაფსულების განვითარებას გასართი კაბინები წარმოადგენდა, მაგრამ ამ სისტემას უფრო ბევრი მინუსი აქვს, ვიდრე პლუსი. კონსტრუქციული თვალსაზრისით, კაბინის განცალკევების მოქმედება უნდა მოხდეს ელექტრული, მექანიკური, პნემატური სისტემების სწრაფი განცალკევება, თუდა კაბინის განცალკევებაც ფიზიკალურიდან საკმაოდ ძნელია. მსოფლიოში პირველ თვითმფრინავს, რომელსაც განცალკევებადი კაბინა ჰქონდა, ამერიკული ექსპერიმენტული რაკეტული თვითმფრინავი X-2 იყო. კაბინა ფიზიკალურად ოთხ წერტილში პირობანტიკვებით მაგრდებოდა. თვითმფრინავის დატვირთვისას პირობანტიკვების აფეთქებით კაბინა ფიზიკალურად სცილდებოდა და პარაშუტით 3000-3500 მ სიმაღლეზე ეშვებოდა. შემდგომ მფრინავი ტრეპედა კაბინას და ინდივიდუალური პარაშუტით ეშვებოდა მიწაზე. მოგვიანებით ტაქტიკურ ბომბდამ-



შენ F-111-ისთვის ორადგილიანი განცალკევებადი კაბინა შეიქმნა. საჭიროების შემთხვევაში გადაარჩენის სისტემის გააქტიურება ეკიპაჟის ნებისმიერ წევრს შეეძლო. ამის შემდეგ ყველა თვითმფრინავი ავტომატურად სრულდებოდა. განცალკევების შემდეგ, სპეციალურ რაკეტულ ძრავას, რომელიც კაბინის ქვედა მხარეს იყო, კაბინა თვითმფრინავიდან განსაზღვრულ სიმაღლეზე აჭყვავდა, რის შემდეგაც 1.83 მ დიამეტრის მასტაბილიზებული პარაშუტი იშლებოდა. ამ სისტემამ მაინც ვერ გააძარცვა და შემდგომ მოდიფიკაციებზე უკვე კატაპულტირებადი საფრთხის გამოყენება დაიწყეს. მაგალითად, სტრატეგიულ ბომბდამშენ B-1A-ის პირველ ოთხ ეგზემპლარს სწორედ განცალკევებადი კაბინა ჰქონდა, მაგრამ სერიულ B-1B-ზე ტრადიციული საფრთხის გამოყენება ამჯობინეს.





კატაპულტირებადი საჰაერო K-36PB და მისი გამოყენებით  
1 — სტარტი, 2 — ორბიტაზე გასვლა, 3 — ატმოსფეროში  
ბურთის დატოვების სქემა: 4 — დაჯდომა



ბურთის დატოვების სქემა: 4 — დაჯდომა

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, კატაპულტირებადი საჰაერო ძალებზე მუშაობა საბჭოთა კავშირში დაიწყო და 1947 წელს პირველი სერიული ნიშუმი შექმნა. პირველი თაობის საჰაერო მიგ-15 და მიგ-17-ის ტიპის გამანადგურებლებზე გამოიყენებოდა. საჰაერო არ გაანდგინა ნაკადისგან სახსა და კიდურების დაცვის საშუალებები, ამიტომაც 700 კმ/სთ-ზე მეტი სიჩქარისას მისი გამოყენება ტრაუმებით სრულდებოდა.

ერთხანს, კატაპულტირების საკმაოდ უნიკალურ სქემას იყენებდნენ — საჰაეროს ზედა და ფარის უკანა ნაწილები ერთმანეთთან სახსრულად იყო დაკავშირებული. კატაპულტირებისას, ზემოთა დახრებულ მოძრაობა საჰაერო, მასთან დაკავშირებულ ფარის უკანა

ნა მხარეს ექანება. ამასობაში ფარის წინა ნაწილი გორგოლაკებზე უკან იწევის მოძრაობას, ფარანი ვერტიკალურ მდგომარეობაში კაბინიდან ამოსულ საჰაერო წინ ეფარება და მფრინავს მიმწოდში პაერის ნაკადის ზემოქმედებისგან იცავს. ამ სისტემის გამოყენება, რომელმაც ნიშული SK მიიღო, მიგ-21Φ და მიგ-21Φ-13-ის ტიპის გამანადგურებლებზე დაიწყო. ამიტომაც იყო, რომ ამ თვითმფრინავებზე ფარანი არატრადიციულად, წინ იდებოდა.

სისტემა საკმაოდ მძიმე გამოვიდა (240 კგ მფრინავიანად) და ამიტომაც სერიულად 1965 წლამდე აწარმოებდნენ.

50-იან წლებში ყველა საბჭოთა ფრემა, რომელიც გამანადგურებლებს აწარმოებდა, კატაპულტირებადი საჰაერო-საც თვითონვე ქმნიდა. მაქსიმალური

სტრუქტურა ბიურომ საჰაერო KM-1 შექმნა, სუხვის ბიურომ — KC-4, ტუპოლევისამ — KT-1 და KY-1 ცი იაკოვლევის ბიუროს ქმნილება იყო. ყველა მათგანი საბჭოთა კლასიფიკაციით მეორე თაობის განეკუთვნებოდა.

KM-1-ის სერიული წარმოება 1965 წელს დაიწყო და ის მფრინავს მიწასთან 1200 კმ/სთ სიჩქარით ფრენისას ვადარჩენის საშუალებას აძლევდა. საჰაერო კატაპულტირების სამი რეჟიმი ჰქონდა: 1 — კატაპულტირება დიდი სიმაღლიდან. ამ დროს ორი სტაბილიზირებადი პარაშუტის გამოყენებით ვარდნის სიჩქარე მცირდებოდა. 3000 მ სიმაღლეზე მფრინავი სცილდებოდა საჰაერო და ძირითად პარაშუტის გამოყენებით ეშვებოდა მიწაზე. მე-2 რეჟიმი მიწაზე მოძრაობისას გამოიყენებოდა  $V > 130$  კმ/სთ

თავისი არსებობის განმავლობაში, კატაპულტირებადი საჰაეროები მუდმივი გაუმჯობესების პროცესში იმყოფებიან და დღეისთვის 50-მდე სერიული თუ საცდელი მოდელი შექმნილი



სი სიქარისას, მე-3 რევიმი კი კატაპულტირებისას,  $V > 1200$  კმ/სი სიქარზე. ამ ტიპის საჰაერო მანქანა მიგ-21, მიგ-23 და მიგ-25-ის ტიპის თვითმფრინავებზე აყენებდნენ.

ტუპოლევის საჰაერო ტიპი Ty-16, Ty-128 და Ty-22-ის ტიპის თვითმფრინავებზე იყენებდნენ. შემდგომ Ty-22M-ის ტიპის ოთხადგილიან ბომბდამშენებელ ტიპს გამოიყენებდა. სხვათა შორის, Ty-22 საბჭოთა კავშირში ერთადერთი სერიული თვითმფრინავი იყო, რომელზეც კატაპულტირება ქვევით ხდებოდა. სამადგილიან ბომბდამშენებელ



**Ка-52 მსოფლიოში იმ ორ შვეულმფრინავთანაა, რომელზეც კატაპულტირების სისტემა გამოიყენება. გადიდებულ ფოტოზე ნათლად ჩანს ფარანზე განლაგებული პირატრეკტორული გვარდი და მფრინავის სავარძლის უკან არსებული თეთრი ცილინდრი, რომელშიც რაკეტული ძრავაა განთავსებული**



ამოსვლის შემდეგ, საჰაერო ძრავიდან მფრინავის მხრების დონეზე იშლება ორი ტელესკოპური მილი, რომლებზეც სტაბილიზებადი პარაშუტებია განლაგებული

(ითოს ფართობი 0.06მ<sup>2</sup>-ია). K-36DM-ს შემთხვევაში, კატაპულტირების ქრონოლოგია: 0 წმ — მფრინავი სახელურების ექსპანსია; გაიცემა ბრძანება ფრინავის მოცილებას; მფრინავი საჰაერო ტიპში მუშაობას იწყებს ფიქსაციის სისტემა; 0.2 წმ — ფიქსაცია დასრულდება; გაიცემა ბრძანება კატაპულტირებაზე; დიდი სიქარის შემთხვევაში გამოიყენება დამცვეი დეფლექტორი; 0.35-0.4 წმ — საჰაერო ტიპის დამცვეი მიმართება; იშლება მასტაბილიზებელი ტელესკოპური მილები; 0.4 წმ — საჰაერო ტიპის კაბინის და ირთვება რაკეტული ძრავები; საჭიროების შემთხვევაში ირთება კორექციის ძრავები; 0.8 წმ — დაბალ სიქარეზე შორდება თავის მისადები და იხსნება ძირითადი პარაშუტი. დიდ სიქარეზე კი პროცესი დამუხრუჭების შემდეგ იწყება. ამ საჰაერო ტიპის თითქმის ყველა საბჭოთა საშუალო თვითმფრინავზე იყენებდნენ.

სხვათა შორის, სწორედ ამ საჰაერო ტიპის გამოყენებით შეიქმნა მსოფლიოში პირველი და დღემდე ერთადერთი კატაპულტირების ავტომატური სისტემა, რომელიც ვერტკალური აფრინავი დაფრინის საეკმბანი AK-38-ზე გამოიყ-

ენებოდა, მაგრამ 1976 წელს ავტომატიკა შეცვლილი იმუშავა — სერიული მანქანის შემოსვლისას, 70მ სიმაღლეზე ავტომატიკამ საჰაერო K-36BM-ისა და მასში მყოფი მფრინავ-გამომცდელის კატაპულტირება მოახდინა, გადასვლით რეჟიმზე მყოფმა თვითმფრინავმა კი განაგრძო სიმაღლის აღება. საწვავის გამოღვევის შემდეგ უპილოტო თვითმფრინავი თავისი ჩამოვარდა. ამის შემდეგ მფრინავების დამოკიდებულება ამ სისტემის მიმართ მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ავტომატიკამ მფრინავი გადაარჩინა — კატაპულტირება მიწასთან შეჯახებამდე 0.2წმ-ით ადრე მოხდა. ამ თვითმფრინავის ექსპლუატაციისას 19 ავტომატური კატაპულტირება მოხდა და ყველა წარმატებული იყო.

მაგრამ ამ უნიკალურ საჰაერო ტიპის ბოლო თვითმფრინავებზე იყენებენ. საბჭოურ მრავალჯერადი გამოყენების ორბიტულ ხომალდ **Буран**-ზე სწორედ ამ ტიპის მოდიფიკაცია K-36PB საჰაერო ტიპის გამოიყენებოდა, საჭიროების შემთხვევაში სტარტის, ორბიტაზე გასვლის, ატმოსფეროში შესვლის ან დაჯდომისასაც. შესაბამისად, საჰაერო ტიპის „0-0“ კლასის განვითარება ორბიტაზე გასვლისას უსაფრთხო კატაპულტირების ზღვარი 25 კმ სიმაღლეზე და M=3 სიქარის შეადგენდა. ატმოსფეროში შემოსვლის-

ბაის წვერები ერთმანეთის მიყოლებით იყენებ განთავსებული, კაბინაში მოხერხდა კი ქვედა მხრიდან შეიძლება. მართალია, ამან მნიშვნელოვან გაამარტვა საჰაერო კონსტრუქცია, მაგრამ სანაცვლოდ უსაფრთხო კატაპულტირების სიმაღლე პორიზონტალური ფრინავის 230-245 მ-ს შეადგენდა.

60-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირში საკონსტრუქტორო ბიურო **3883** შეიქმნა. ამიერიდან ქვეყანაში კატაპულტირებად საჰაერო ტიპებზე მხოლოდ ის მუშაობდა. მისი K-36 დღესაც სერიულ წარმოებაშია და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უნიკალურ კატაპულტირებად საჰაერო ტიპად ითვლება. მისი გამოყენებით მფრინავს ნულიანი სიმაღლისა და სიქარისას შეუძლია კატაპულტირება. უსაფრთხო კატაპულტირების მაქსიმალური სიქარე კი 1400 კმ/სთ-ს აღწევს. კატაპულტირებისას სახესა და მკერდზე მფრინავს სპეციალური დეფლექტორი იფარება, ფეხებისა და ხელის მძიმე კი ქიმრებით ხორციელდება. ყველა დამცვეი ფაქტორის ამოქმედება 0.2 წმ-ში ავტომატურად ხდება. კაბინიდან

სავარძლის ტიპი	წარმოების წელი	სავარძლის მახასიათებლები						
		კატაპულტორების უსაფრთხო სინქარე		კატაპულტორების დასაწვები სიმაღლე, მ		ამობრუნებული მდგომარეობიდან კატაპულტორების მინიმალური სიმაღლე, მ	დროის ინტერვალი სისტემის გააქტიურებიდან გუმბათის გახსნამდე, წმ	მასა, კგ
		მაქს.	მინ.	მაქს.	მინ.			
Mk.4, Mk.5	1956	1100	165	15000	0	160	6.5	140
Mk.6, Mk.7	1961	1100	0	15000	0	160	6.5 და 2.2*	140
ESCAPAC-II	1972	1100	0	15000	0	60	—	68
Mk.10	1961	1150	0	15000	0	107	2.5	90.3
S-III-S-3	1972	1150	0	15000	0	60	2.5 და 2.2*	60
ACES-II	1975	1150	0	15000	0	60	2.8 და 1.8*	—
S-III-S-3	1986	1150	0	15000	0	20	2.5 და 2.2*	74
წვევის მართვის სისტემით								
ACES-II	1986	1150	0	15000	0	20	2.5 და 1.8*	74
წვევის მართვის სისტემით								
Mk.10	1986	1150	0	15000	0	60	2.4 და 1.9*	60
K-36DM	1968	1400	0	25000	0	—	—	122

\* სისტემების ამუშავების დრო სინქარისას 500 კმ/სთ-მდე

სას კი — 30 კმ და M=3-ს. მართალია, „ბურანის“ პილოტირებად ფრენამდე საქმე არ მიხვდა, მაგრამ საერაძელი რაკეტა-მატარებლის ბორტიდან რეალურ პირობებში მანევრით ხუთჯერ გამოცადეს და ხუთიჯერ შედეგიანად. სხვათა შორის, „ბურანი“ არ ყოფილა პირველი კოსმოსური ხომალდი, რომელზეც კატაპულტორებადი საერაძელი გამოიყენეს. **ВОСТОК**-ის სერის ხომალდებზე, რომლებზეც გაგარინმა, ტიტოვმა, პოპოვიჩმა, ბიკოვსკიმ, ნიკოლაევმა და ტერეშკოვამ იფრინეს, კატაპულტორებადი საერაძელი იყო განთავსებული. მათი გამოყენება როგორც აერისის, ასევე საშტატო რეჟიმში დაჯდომისას შეიძლებოდა. კოსმონავტი სტარტისას და ორბიტული ფრენისას კატაპულტორებად საერაძელი იყდა, მიწაზე დაშვებისას კი 2-3 კმ სიმაღლეზე კატაპულტორებას ახდენდა და პარაშუტით ეშვებოდა. იმ დროს კაბინა არ იყო აღჭურვილი რბილი დაჯდომის სისტემით (არც არსებობდა) და ამიტომაც დაჯდომის თან დიდი გადატვირთვა სცდებოდა.

ერაღიფილიანი თვითმფრინავებისგან ოღნაე განსხვავებული კატაპულტორების სქემა აქვს ორჯადილიან საბრძოლო-სასწრალო თვითმფრინავებს. ასეთ შემთხვევაში კატაპულტორების

სისტემა გაერთიანებულია და მისი გააქტიურება ნებისმიერ წვერს შეუძლია. პირველად უკანა მფრინავი კატაპულტორდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველის საერაძლის რაკეტული ჭვილი მეორეს კაბინას დაწვავს. უკანა და წინა მფრინავების კატაპულტორებას შორის ინტერვალი საშუალოდ 1 წმ-ია.

ზოგიერთ თვითმფრინავზე კატაპულტორებისას ფარანი არ შორდება. ფარნის მოშორება დამატებით სისტემას საჭიროებს, რაც ართულებს თვითმფრინავის აერაული დატვირების სისტემას. ამიტომაც ზოგ თვითმფრინავზე, მაგალითად, „პარიეის“ ყველა მიდიფიკაციაზე, ფარნის მინაზე საკეციალური პორტეჟნიკური გვარლი მაგრდება. კატაპულტორებისას გვარლი ფოქდება და მინას ამხვრევს, რის შემდეგაც უკვე კატაპულტორება ხდება. ანალოგიური სისტემა რუსულ **ЯК-130**-ზე გამოიყენება.

ცოტა რთული ვითარებაა აერაული შევლმფრენის დატვირებისას. უმეტეს შემთხვევაში შევლმფრენების ეკიპაჟების ტრავმებისა და ლეტალური შედეგების მიზეზი მტვისმეტედი დიდი დარტყმით გადატვირთვებია. ყველა თანამდროვე შევლმფრენის შასი 3.7 მ/წმ-ით დაშვებაზე გათვლილი, თუცა აერაული დაშვების უმეტესი შემთხვევა 12-15 მ/წმ სინქარზე

ხდება. ამ დროს გადატვირთვა 46 ერთეულს აღწევს. შასის მიერ აერაული დაშვებისას ენერჯის შთანქმის გარდა, შევლმფრენების ექსალუატაციის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ბორტის აერაული დატვირების საშუალებების შემუშავებაზე. 1956 წელს საბჭოთა კავშირში შევლმფრენ **Ми-4**-ზე შხიდი ხრახნების მოშორების სისტემა გამოიყვანა. ხრახნების მოშორების შემდეგ მფრინავი შევლმფრენიდან პარაშუტით ხტებოდა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სისტემა ეფექტური გამოდგა, სერიულ წარმოებამდე საქმე არ მიხვდა — კონსტრუქციულად საკმაოდ რთული იყო შხიდი ხრახნის მიღისამო აფეთქება მოწყობილობის ჩამონტაჟება.

70-იანი წლების დასაწყისში აშშ-ში ფირმა „სტენლიმ“ შევლმფრენის პილოტის გადასარჩენი ხალი სისტემა შექმნა, მას „აიკი“ ეწოდა. ამ ვზოტოკური სისტემის მთავარი თავისებურება რაკეტული ძრავს მიერ მფრინავის კაბინიდან გამოქაჩვაში მდგომარეობდა. სისტემა 10 კგ-ს იწონდა და რაკეტული ძრავა 0.57 წმ-ს მუშაობდა. კატაპულტორების ბრძანების გაცემის შემდეგ, შხიდი ხრახნის ნიშნავა და ფარანი შორდებოდა. შემდეგ ითვებოდა რაკეტული ძრავა, რომელიც გვარლის მეორე ბოლითი მფრინავთან იყო დაკავ-



შირბული. გვარლი მფრინავს ექაჩებო- და ის კაბინას რაკეტის წვეის ძაღის მოქმედების ხარჯზე ტოვებდა. თუმც სერიულ შევეულმფრენებზე არც ეს სისტემა გამოუყენებიათ.

დღეს მსოფლიოში სულ ორი შევეულ- მფრენია, რომლებზეც კატაპულტირების სისტემა გამოიყენება. ესენია რუსული Ka-50 და Ka-52. ორივე მათგანზე **Звезда**-ს შექმნილი K-37-800-ის ტიპის სარაკეტო-პარაშუტული სისტემა გამოიყენება.

კატაპულტირების ბრძანების შემდეგ პირველ შევეულმფრენს მზიანი ხრახნები და ფარის ზედა ნაწილი შორდება, რის შემდეგაც რაკეტული სისტემა ითრება და გვარლი ექაჩება საჰაერო ძელს, რომელშიც მფრინავი ზის. განსაზღვრულ სიმაღლეზე საჰაერო შორდება მფრინავს და ის მიწაზე პარაშუტით ეშვება.

ეს სისტემა მფრინავების გადარჩენას 400 კმ/სი მაქსიმალურ სიჩქარესა და 4000 მ სიმაღლეზე უზრუნველყოფს. **Ka-52**-ზე ანალოგიური სისტემა გამოიყენება, იმ განსხვავებით, რომ ფარანი პიროტექნიკური გვარლით იმსხვრევა. ვერჯერობით ეს სისტემა მხოლოდ ერთ „53“-ე ბორტზეა დაყენებული.

მსოფლიოში არსებულ სხვა შევეულ- მფრენებზე კი ენერჯის შთანთქმელი საჰაერო ძელი გამოიყენება.

70-იან წლებში ბრიტანულმა „მარ-

ტინ ბეიკრმა“ კატაპულტირებადი საჰაერო ძელის შექმნაში ლიდერობა დაკარგა. 1972 წელს ამერიკულმა „სტენსლემ-მა“ შექმნა საჰაერო ძელი **S-III-S-3**, რომელიც მაქსიმალურ 60 მ სიმაღლეზე მფრინავის გადარჩენას ამობრუნებულ მდგომარეობაში კატაპულტირებისას უზრუნველყოფდა. საჰაერო ძელი მრავალრეჟიმულია და მფრინავის გადარჩენას 0-დან 1150 კმ/სი სიჩქარის დიაპაზონსა და 0-15000 მ სიმაღლეზე უზრუნველყოფს. კატაპულტირების სახელურების განლაგება შემკვეთის სურვილისამებრ, ფეხების შორის, იდაყვების დასადების ქვეშ ან საჰაერო ძელის თვის მისადების ზევით შეიძლება. ამ საჰაერო ძელის გარდა, დღეს მსოფლიოში კიდევ ერთი კატაპულტირებადი საჰაერო ძელია, რომელიც **S-III-S-3**-ის მსგავსად (საჰაერო ძელი 60 კგ-ს იწონის) აღჭურვილია რაკეტული ძრავების წვეის მართვის სისტემით, რომელიც გადამბრუნებულ მდგომარეობაში კატაპულტირებადი მფრინავის ნორმალურ მდგომარეობაში ამობრუნებას უზრუნველყოფდა. ეს 1986 წელს შექმნილი ფირმა „დეგლასის“ **ACES-II**-ია.

დაკარგული პოზიციის დაბრუნება „მარტინ-ბეიკრმა“ სცადა საჰაერო ძელ **Mk. 12**-ის შექმნით, რომელიც სერიულად დღესაც იწარმოება. საჰაერო ძელი ამერიკულ სტანდარტებს შეესაბამება და მასზე წვეის ვექტორის არარსებობის მიუხედავად, ამობრუნებული მდგომ-

არეობიდან კატაპულტირებული მფრინავის გადარჩენას 60 მ სიმაღლეზე უზრუნველყოფს. საჰაერო ძელზე ფრენის სიჩქარის განსაზღვრის სისტემა სამრეჟიმულია — დაბალ სიჩქარესა და დაბალ სიმაღლეზე, მაღალ სიჩქარესა და დაბალ სიმაღლეზე და ნებისმიერ სიჩქარესა და დიდ სიმაღლეზე. დაბალი სიჩქარის რეჟიმში სამუხრუჭე და ძირითადი პარაშუტები კატაპულტირებიდან 0.35 წმ-ში იხსნება. მაღალი სიჩქარეების რეჟიმისას 1.7 მ დამეტრის ლენტური ტიპის სამუხრუჭე პარაშუტი, საჰაერო ძელის სტაბილიზაციისთვის და ძირითადი პარაშუტის გახსნამდე, სიჩქარის შესამცირებლად გამოიყენება. თუ კატაპულტირება დიდ სიმაღლეზე მოხდა, მასტაბილიზებელი პარაშუტი 0.3 წმ-ის შემდეგ იხსნება და მფრინავი საჰაერო ძელიდან 5000 მ-მდე ეშვება.

კატაპულტირებადი საჰაერო ძელი მუდმივად უმჯობესდებოდა. მიუხედავად სექტაკოსია მტკიცებისა, რომ კატაპულტირებადი საჰაერო ძელი ვერ შეძლებს მფრინავის გადარჩენას, ამ გამოცდებამ სამხედრო ავიაციაში ფეხი მყარად მოიკიდა. მფრინავისთვის კატაპულტირებადი საჰაერო ძელი განწირული თვითმფრინავიდან გადარჩენის უკანასკნელი იმედი. ამ გამოცდებამ რამდენიმე ასეულ მფრინავს უკვე შეუნარჩუნა სიცოცხლე.

**თემურ კულუბაშვილი**

ორადგილიანი **МиГ-25**-დან კატაპულტირების მომენტი



# AL-QAEDA

## „ალ-ჰაიდა“ – გლობალური ჯიჰადის მმართველთა გაერთიანება



„ალ-ჰაიდას“ ბანაკებში იარაღთან მოპოვობას მოზარდებსაც ასწავლიან

### „ალ-ჰაიდასთან“ დაკავშირებული საინტერესო ფაქტები

„ალ-ჰაიდა“ ტერორისტულ ორგანიზაციად ოფიციალურად მიიჩნევა ამერიკაში, ავსტრალიაში, კანადაში, ევროკავშირის ქვეყნებში, ინდოეთში, ისრაელში, რუსეთში, სამხრეთ კორეაში, თურქეთსა და შვეიცარიაში. რაოდენ გასაკვირც უნდა იყოს, ამ ორგანიზაციისთვის ტერორისტულის სტატუსი ჯერჯერობით არ მიუნიჭებია ჩინეთს, ავღანეთს, პაკისტანს ან ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ბრაზილია, არგენტინა ანდა მექსიკა, რომელთაც ამჟამად დასავლეთ ნახევარსფეროში გარკვეული გავლენა აქვთ მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ უსამა ბინ ლადენის ისინიც ძებნილად და სამშვიდობო-სავედ აღიარებენ. სხვათა შორის, ძალიან საინტერესოა ამ საკითხზე ავღანეთის პოზიცია: „ეჭვგარეშეა, რომ უსამა ბინ ლადენი მეტად საშიშო დამინამშევა და დაჭერის შემთხვევაში, უმკაცრესად უნდა დაისაჯოს, მაგრამ საკითხავია ის, თუ რას წარმოადგენს თავად „ალ-ჰაიდა“? სანამ ამას დეტალურად არ გამოვარკვევთ, ცხადია, ვერც სტატუსს მივანიჭებთ“, – განაცხადა 2009 წელს ჰამიდ ყარზაიმა. მას მხედველობაში ჰქონდა ის გარემოება, რომ „ალ-ჰაიდა“ უფრო „ბერუნდული“ ხასილწოდებაა, ვიდრე ორგანიზაციის ოფიციალური დასახელება. სამაგიეროდ,

ავღანეთში, ისევე როგორც ჩინეთში და პაკისტანში ტერორისტულის სტატუსი მიანიჭეს იმ ორგანიზაციების უმეტესობას, რომლებიც „ალ-ჰაიდას“ შემადგენლობაში შედიან.

2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ, როდესაც ამერიკის ხელისუფლებამ ვეელა საუჭვო ისლამურ ორგანიზაციასა და კომანანას ბანკებში ანგარიშები გაუყინა, შეკანინან მუსლიმანთა გაერთიანებამ, რომელსაც არც მეტი, არც ნაკლები, **An islamic qaeda** ერქვა, სასამართლოში სარჩელი შეიტანა: ისინი მთავრობას

უჩიოდნენ და სახელწოდების გამო ანგარიშების გაყინვას გამოდნენ – „ამერიკის ისტორიაში ჯერ არასოდეს მომხდარა ისეთი ფაქტი, რომ რელიგიური შეხედულებების გამო კანონმორჩილი მოქალაქეები შევეცხოვრებინოთ... მიგვანია, რომ ტერორისტები ისევე ამერიკამ წვენზე არ უნდა იყაროს“, – აცხადებდა გაერთიანების ლიდერი, ყოფილი მოკრივე ლუაიბ მუჰამედ ქუევი. მოსამართლეები გამოუვალ სიტუაციაში ჩაცვიფდნენ, რადგანც ქუევიმ დაამტკიცა, რომ „ალ-ჰაიდა“ არა ტერორისტული, არამედ ისლამური საკულტო სახელი იყო; სასამართლო ექსპერტის განცხადებაში მსჯელობდა, რა ექნა და საბოლოოდ, საქმე მისცა მარიგებით გადაწყდა: **An islamic qaeda**-მ სახელი არაბულის ინგლისური მკვიფაღენტი შეცვალა, ხოლო მთავრობამ კი გაყინული ანგარიშები აღუდგინა, თან სასამართლო პროცესზე დახარჯული თანხაც აუნაზღაურა: „თუკი სადმე ბინ ლადენს გადავწყვიდო, ორჯერ უფრო მაგრად მივუგვავრდვანაც მის გამო ბუკრი ვინერეულე“, – ასეთი კომენტარი გააკეთა ლუაიბ მუჰამედ ქუევიმ.

ამერიკული სპეცსამსახურების მიხედვებით, „ალ-ჰაიდასა“ და მის უმაღლეს ემირს განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ავღანურ



ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი, წარმომოხებით ამერიკელი აბდულ აზიზ გოდანი






„თალიბანთან“ და იმ პუშტუნ ტომებთან, რომლებიც პაკისტანში ცხოვრობენ. დაუზუსტებელი ცნობებით, უსამა ბინ ლადენი ამჟამად სწორედ მათთან უნდა იმყოფებოდეს. უნდა ითქვას, რომ პუშტუნ ტომთა ფედერალური ტერიტორია ოფიციალურად პაკისტანის კეკუთუნის, მგრამ დე ფაქტო იქ ისლამაბადის იურისდიქცია ვერ ვრცელდება. „გაუგებარია, რატომ იკავებს თავს პაკისტანი პუშტუნების მიწაზე კონსტიტუციური წესრიგის აღდგენისაგან“, — აღნიშნავდა აშშ-ის პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, ისლამაბადში კი ამტკიცებდნენ, რომ უსამა ბინ ლადენი პუშტუნებთან ადარ იმყოფებოდა. 2009 წლის ბოლოს ამერიკულ მასშტაბში გაფრთხიდა ინფორმაცია ბინ ლადენის ჩინეთში — სინძიან-უიღურის ავტონომიურ ოლქში ფოინის თაობაზე, თუმცა პუკანში ეს სერიოზულად არაუკის აღუქვამს. სრულიად მოულოდნელად კი ბინ ლადენის თემზე საკმაოდ ცინიკური კომენტარი გააკეთა ვენესუელის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა: „უსამა ბინ ლადენი ამერიკული მითია... ის მხოლოდ იმ ადგილებში ჩნდება, სადაც ამერიკას მორიგი აურზაურის მოწყობა აქვს დაგეგმილი“. ჩავესმა ადრე ისიც თქვა, რომ ბინ ლადენი ჯორჯ ბუშმა „მოუხელთებლად ჯოჯ“ აქცია და მოჰკვა ანექტის მოუხელთებელ კოვოი ჯოჯზე, რომელიც მხოლოდ იმიტომ იყო მოუხელთებული, რომ მისი დაჭრა გადაუღებულ საჭიროებას არ წარმოადგენდა.

2010 წლის დასაწყისში ინდურმა მასშტაბი გამოაქვეყნა სენსაციური ცნობა უსამა ბინ ლადენის ქაშმირში ყოფნის თაობაზე, რასაც ცხადია, მასწვევ გამოეხატა პაკისტანი: „რასაკვირველია, დღეის სრული უფლება აქვს, მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია გამოაქვეყნოს და მტკიცებულებებიც დაურთოს, მაგრამ არც ის უნდა დაგუიწყდეს, რომ იგივე უფლება ჩვენც გვაქვს... ქაშმირიდან კი ინდოეთში გადასვლას ერთი საათიც არ უნდა. საფიქრებელია, რომ უსამა ბინ ლადენი უკვე სადღაც პარიზში ან პიშპაბადში აღმდგა და ინდოელი სამართალდამცველები მისი ჩვენთან ძებნით ამაოდ დაშვებინან“, — განაცხადა პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა იუსუფ რაზა გილანში. მან ოფიციალური დელისაგან მონაცემების გადაცემაც კი მოითხოვა, თუმცა მიზეზთა გამო ინდოელებმა უარი განაცხადეს.

სენსაციებით ცნობილ ვებპორტალ „ვიკილიქსზე“ ამ რადნიმე ხნის წინ



ავღანურ სამოსში გამოწყობილი „ალ-ქაიდას“ აქტივისტები



„ალ-ქაიდას“ ბრიტანული ფილიალის ლიდერი, ბირმინგემელი რუსიდ რაუფი

„ალ-ქაიდას“ შესახებაც საკმაოდ ბევრი ინფორმაცია დაიდო. მათ შორის ყველაზე შოკის მომგვრელი აღმოჩნდა ის დოკუმენტები, რომლებიც ვებპორტალის მესვეურთა მტკიცებით

თურქეთსა და „ალ-ქაიდას“ ურთიერთობას შეეხება: „ვიკილიქსზე“ გამოქვეყნებულ ამერიკულ სამხედროთა საიდუმლო ანგარიშებში საუბარია იმაზე, რომ თურქეთი ერაყის „ალ-ქაიდას“ იარაღს, ამუნიციასა და საბრძოლო მასალას აწვდიდა. „ამას ანკარას მესვეურები ირიბად — თურქეთში მცხოვრები ერაყელების გამოცხადებით აკუთვნებენ“, — ნათქვამია არაბულ გაზეთში „ალ-ჰაიათ“, რომელმაც ამ თემზე ვრცელი სტატია გამოაქვეყნა. არაბი ჟურნალისტები თვად „ვიკილიქსის“ მესვეურებსაც დაუკავშირდნენ. მათ განაცხადეს, რომ თურქეთისა და „ალ-ქაიდას“ ურთიერთობის შესახებ თურქულ ენაზე შედგენილი ბევრი საიდუმლო დოკუმენტი აქვთ, „ჩვენ თურქულის სპეციალისტების დაქირავება გვსურს... მათ ყველაფერს ვათარგმნებთ და ინგლისურ კურსებს მატებთ ორიგინალთან ერთად

ერაყში „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთ ბანაკში ამერიკელი ჯარისკაცების მიერ ნაპოვნი იარაღი





„აღ-ქაიდას“ ტერორისტები ქაშირში



დადებით“ — თქვა „ვიკილიქსის“ მუხატორნი ჯულიან ასანჯმა, თმცა ამის გაკუება ვეღარ მთასწრო: ის შეედით-ში დააპატიმრეს.

„აღ-ქაიდას“ ყვლაზე განმარებული ტერაქტები

1998 წლის 7 აგვისტო, 10:45 საათი — კნისა და ტანზანიის დედაქალაქებში — ნირობისა და დარ-ეს-სალამში ამერიკის საელჩოების ტერაქტორებზე ერთდროულად მძლეური აფეთქებები მოხდა, რამაც საერთო ჯამში 4 300 კაცი იმსვერდა. უფრო მეტად დაზარალდა აშშ-ის კნისის საელჩო, სადღე დაჭრილთა და დაღუპულთა რაოდენობამ 3 ათას კაცს მიადწია. საინტერესოა, რომ იმავე დღეს ასევე, უგანდაში აშშ-ის საელჩოც უნდა აფეთქებინათ, თმცა დაცვამ ბომბი დროზე აღმოაჩინა. ამ მოვლენათა შესახებ უსამა ბინ ლადენმა ამკარი კომენტარი გააკეთა: „ჩვენ ამერიკას ჯიპადი გამრუეცხადეთ და ყველაფერი, რაც კი მოხდა, ალაპის ნების გამოხატულება იყო“.

2001 წლის 11 სექტემბერი — მასშტაბური ტერაქტების სერია აშშ-ში, ამ დღეს 19-მა ისლამისტმა ტერორისტმა ხელში ოთხი ამერიკული სამხაგური თვითმფრინავი ჩაიკლო. გამტაცებლებმა ორი მათგანი გამიხნულად დააჯახეს ნიუ-იორკში მსოფლიო საჰაერო ცენტრის ორ ცაოამბჯენს (ე.წ. „ტუჰს“), რის შედეგადაც დაღუპა ყველა მხაგური და ცაოამბჯენებში მყოფთა უდიდესი ნაწილი. ორთვე ცაოამბჯენი ორ საათში ჩამოიქცა და ყვემ მოყოლია მიმდღეურ ორი მენიბდა, სხვები

კი ძლიერ დაზანა. მესამე თვითმფრინავი ტერორისტებმა პენტაგონის შენობას დააჯახეს, ხოლო მეთოხე სომერსეტ ქაუნიის ველზე, პენსილვანიის შტატში ჩამოვარდა. უსამა ბინ ლადენს ამ ტერაქტებზე პირდაპირი პასუხისმგებლობა არ აუღია: „მე არაფერ შუაში ვარ, თმცა ვინც ეს ყველაფერი დაგვეხა და შეასრულა, ჩემგან ქებას იმსახურებს!“ — განაცხადა მან. აშშ-ში უტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე მალე დაასკენეს, რომ ტერაქტები ბინ ლადენის მოწოდების საფუძველზე მოაყო „აღ-ქაიდას“ ერთ-ერთი მ წვერბა-ორგანიზაციამ — „შაჰიდა ბრიგადამ“, რომელსაც სათავეში მუჰამედ აბა ედგა.

2003 წლის ნოემბერი — სტამბოლის რამდენიმე ცენტრალურ უბანში ერთხა და იმავე დროს აფეთქებები მოხდა, რის შედეგადაც 58 კაცი დაიღუპა, ხოლო 750 მძიმედ დაზარდა. იმხანად უსამა ბინ ლადენი, აშშ-ის დაზვერვის ინფორმაციით, აუღანეთს აფარებდა თვის და

სტამბოლის ტერაქტებამდე თურქ ისლამისტებსაც კი შეხედა. თურქეთის პოლიციამ რამდენიმე ეჭვიმტანილი დააკავა და დაქოთნა, მაგრამ გამოძიების მასალები მკაცრად გაასიღუმლო. მოგვიანებით ბინ ლადენმა სტამბოლის მოვლენები თავის ერთ-ერთ მიმართოში გაკვრით მოიხსენია, რაც აშშ-მა და თურქეთმა პასუხისმგებლობის აღებამ მიიწიეს.

2008 წლის 26-29 ნოემბერი — ტერაქტები ინდოეთის უდიდეს ქალაქ მუმბაიში (ყოფ. ბომბეი). აფეთქებები მოხდა აერობორტში, სასტუმროებში, კაფეში, საჰაერო ცენტრში, კინოთეატრებში, ტაქსობარკსა და ნუსადგურშიც კი. დაიღუპა 175 კაცი და 300-ზე მეტი მძიმედ დაზარდა. ტერაქტებზე პასუხისმგებლობა აიღო ქაშირში მოქმედმა ისლამურმა დაჯგუფებამ „ლშჰარ-ე თაიბა“ („უწმინდესი ლშჰარი“), რომელიც „აღ-ქაიდას“ შედეგდენლობაში შედის. ინდოეთის პოლიციამ დააპატიმრა მხოლოდ ერთი ეჭვიმტანილი — ქაშირელი აჯამლ ვასაბი, რომელსაც 2010 წლის 6 მაისს სასამართლომ დაზვერტა მოსაჯილი.

2010 წლის იანვარი — ინდოეთის სუეცამსახურებმა, ბრიტანელ კოლეგებთან ერთად, დააპატიმრეს ქაშირელი ამჯად ხეჯაა, რომელსაც ბრალად თვითმფრინავის გატაცების მცდელობა წაუყენეს. დაკავებულმა აღიარა, რომ მას მართლაც სურდა, ინდოეთის ავიანაშების კუთენილი სამხაგური თვითმფრინავი გაეტაცებინა და დიდ ბრიტანეთში ისეთივე ტერაქტი მოეწყო, როგორც 2001 წლის 11 სექტემბერს აშშ-ში მოაწყვეს „აღ-ქაიდას“ შაჰიდებმა. ამჯად ხეჯაა ქაშირელი ისლამური დაჯგუფების, „ოსლამური ჯიჰადის მოთრბობის“ (პარტიულ უღ-ჯიჰად უღ-ისლამი) აქტივისტი აღმოჩნდა. ხსენებულ დაჯგუფება 2009 წლიდან „აღ-ქაიდას“ შემადგენლობაშია.

მიხეილ ლაბაძე

**„ლეიგა“**  
 სამკურნალო ბაჰართიანება  
 სემსოკაბოლოგია

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სქესუალური დარღვევის მკურნალობა
- სქესუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე  
 მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39  
 www.league.ge



# ბანკები ბრიკოს ველზე

**(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N26, 2010წ.)**

დაუშვებელია ტანკების დაქსაქსევა და წინა ხაზზე ერთდროულად ორ ტანკზე ნაკლები არ უნდა იყოს, ხოლო სატანკო ოცეული (4-6 ტანკი) ძირითად ძალებიდან იმ მანძილზე მოქმედებს, რომელსაც საცეცხლე საშუალებები ფარავენ. რაც უფრო მეტი ქვეშეში იმოქმედებს ბრძოლის პირველივე წუთებიდანვე, მით სწრაფად ჩაიხშობა მოწინააღმდეგის ცეცხლი, ხოლო საკუთარი კი შემცირდება.

თუ სატანკო ქვედანაყოფის წინაშე დგას ერთდროულად რამდენიმე ამოცანა, ითითოეული ერთიანი მთავრობით უნდა შეხრულდეს, ხოლო თანამიმდევრობის ზემოქმედში მეთაური (მაგ. თუ გაქვთ ორი მიზანი, ჯერ ერთს შეუტეოთ ყველა იარაღისა და ძალის გამოყენებით და შემდეგ — მეორეს) განსაზღვრავს. მოწინააღმდეგის რაც მეტს სამიზნე იქნება ერთდროულად დასაზიანებელი, მით მეტად გაუჭირდება ცეცხლის გადანაწილება და მართვა, ასევე, უფრო მეტი ქვეშეში იმოქმედებს მის წინააღმდეგ ერთდროულად;

ტანკები არ უნდა მოქმედებდნენ მასიურ ფორმირებებად — თანამედროვე ტანკებისააღმდეგ და საუბრაციო შეიარაღება გათვლილია ფართობით და ზიანებზე. აღინაო, სასურველია ტანკთა შორის ნორმატიული ინტერვალების გაზრდა და მათი მუდმივად დაცვა. ეს გამოსის მოწინააღმდეგის ცეცხლს და გაართულებს მის კონტროლს;

ტანკებს არ უნდა მართავდნენ

მოუშადავები ეკიპაჟები — ტანკის ეკიპაჟი უნდა იყოს ერთიანი ორგანიზში, რაც მიიღწევა დახლოებით ექვსთვიანი წვრთნის განმავლობაში. T-72-ისა და T-80-ის შიდა სფეროც არ აღემატება 2,5 კუბურ მეტრს, მაშინ როდესაც გერმანულ Leopard-ში ეს მონაცემი 2-ჯერ მეტია. მოუშადავები მუბრძოლი 2 საათის განმავლობაში ტანკიდან ამოუსვლელად მოქმედების შედეგად ფიზიკურ შესაძლებლობათა 80%-ს კარგავს. თუკი ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა, იმატებს პრობლემებიც: კრძოლ, ეკიპაჟის გადაღლილობა მოსდევს მოტყუარობები და სხვადასხვა ტრავმა (განსაკუთრებით ავტომატური

დატრენსმექანიზმიან ტექნიკაში), მათ შორის — კიდურების ამპუტაცია. სტატისტიკის მიხედვით, ტანკების ეკიპაჟების დანაკარგის 25% იმ შემთხვევებზე მოდის, როცა ტანკისტები ჯაგმანს გარეთ იმყოფებიან;

ტანკები თავისი სვლით არ უნდა გადაადგილდებოდნენ გრძელ მანძილებზე (რამდენიმე ასეულ კმ-ზე მეტს) — ეს იწვევს მქანკურ დაზიანებებსა და რუსურების ცვეთას. მაგალითად, რუსული ტანკები მწყობრიდან გამოდიან საშუალოდ ყოველ 250 კმ-ზე, NATO-ს ქვეყნების კი — 300 კმ-ზე. რა თქმა უნდა, შესაბამისი ტექნიკური უზრუნველყოფის პირობებში ხარვეზი შესა-

**მთებში ხელსაყრელ ადგილებზე მონყობილი ტანკის საცეცხლე პოზიციები**



**სატანკო ქვედანაყოფის  
მოქმედების ეფექტურობა  
სისწრაფვეზე ბევრად არის  
დამოკიდებული**



ძლებულია აღმოფხვრიდ იქნეს რამდენიმე წუთიდან რამდენიმე საათში. შესაბამისად, შენარჩუნის შეიძლება მარშის ყოველ საათში დაკარგოს 2%-დან 20%-მდე ჯავშანტექნიკა. შორ მანძილებზე ტანკების გადაყვანის საუკეთესო საშუალებაა რკინიგზა და ტანკების გადაძხვნილი საუტომობილო პლატფორმები. ტანკები თავიანთი სვლით უნდა გადაადგილდებოდნენ მხოლოდ ბრძოლის ველზე;

საჭიროა ტანკების ყოველდღიური მომსახურება — მუხლუხიანი ტექნიკა დიდ ყურადღებას მოითხოვს. დღეში 8 კაცისათვის ტანკების კარგ მდგომარეობაში შენარჩუნების წინა პირობაა. ასე რომ, ძველი სამხედრო ზემორობა, ბუნებაში არსებობს ჭკუჭკიანი ადამიანის სამი კატეგორია: დასერილი, ძალიან დასერილი და ტანკისტი, სინინაღმელესთან ახლოს ნამდვილად არის;

ტანკები არ უნდა მოქმედებდნენ საინჟინრო ძალების გარეშე — საინჟინრო ხინჯამდებები და საინჟინრო-სადანერჯერო მანქანები სატანკო ძალების განუყოფელი ნაწილი და მათი მანევრირებადობის შენარჩუნების გარანტიაა;

ტანკები არ უნდა მოქმედებდნენ ახლო საპერო დაცვის ძალების გარეშე — თვითმავალი და გადასატანი საზენიტო დანადგარები არ იძლევიან ასპროცენტინ გარანტიას, მაგრამ წარმოადგენენ ტანკების საპერო მორწინადმდევისგან დაცვის კარგ საშუალებებს;

ტანკები არ უნდა მოქმედებდნენ ტექნიკური უზრუნველყოფის ძალების გარეშე — ტანკმა დაბრკოლებასთან არასწორი უკუთხით შეჯახებისათვის შეიძლება დაკარგოს მუხლუხი. გარდა

ამისა, მუხლუხები ყოველი 1000-დან 3000-მდე კმ-ის გავლის შემდეგ შეცვლას მოითხოვს, რასაც რამდენიმე საათი სჭირდება. სატანკო ქვეშესა და ტექნიკურ-აფრქვევებს პერიოდულად სამიხსნეების გასწორება სჭირდებათ, განსაკუთრებით შორ მანძილზე გადაადგილების არ ინტენსიური სროლების შემდეგ.


შეკეთებას მოითხოვს ელექტრომოწყობილობებიც, რომელთა რაოდენობა თანამედროვე ტანკებში არ ჩამორჩება სამეზაური თვითმფრინავის საბორტე ელექტროხელსაწყოებისას. კვალიფიციური ტექნიკური უზრუნველყოფის შემთხვევაში, ტანკების საბრძოლო დაზიანებათა 60% და არასაბრძოლოა — 95% აღდგენის ექვემდებარება;

საქართველოს საომარი მოქმედების თვალში მსხვილი სატანკო შენარჩუნების მასობრივად გამოყენებაზე, რა თქმა უნდა, ლაპარაკი ზედმეტია,

თუმცა მათი როლის დაქვეითებასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდივიდუალური ტანკისა და სატანკო ქვედანაყოფის (ოცეული, ასეული) როლი. ადგილობრივ პირობებში ტანკის მოქმედების ეფექტურობისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საომარი ველის საინფორმაციო სერვესი ინდივიდუალური საბრძოლო მანქანის მდგომარეობის ინტეგრირებას. სატანკო ძალების ამოცანა უნდა იყოს შეტყობის მოქმედებით ბრძოლის ბეზად გადწყვეტა. ამას აღწევნ მოულოდნელი დარტყმების მიყენებით მიწინააღმდეგის დაცვის ყველაზე მოწყველად წერტილებში — ფლანგებზე, ზურგში, პოზიციათაშორის სერვესი და სხვა ტანკებს მაღალი მანევრირებადობისა და საცეხლე შესაძლებლობების ხარჯზე შეუძლიათ სწრაფად და მოულოდნელად გამოიყვინონ დარტყმითი ძალა გადამწყვეტ მიმართულებებზე, ღრმად და ელვისებურად შეიჭრან მოწინააღმდეგის განლაგებაში. დაცვის სიღრმეში მძლავრი დარტყმებით სატანკო დანაყოფები ანადგურებენ მნიშვნელოვან ობიექტებს და ალყაში მოაქცევენ მოწინააღმდეგეს. თავდაცვაში ფიზიკის დროსაც კი საბრძოლო ამოცანები, ძირითადად, კონტრშეტყობის მოქმედებით უნდა შეასრულონ.

ბოლოდროინდელი საომარი კონფლიქტების შედეგების გათვალისწინებით, ქართველ მეთაურებს მინდა ვუჩინო: ჯ/სატანკო ქვედანაყოფების ძალა მდგომარეობს მოულოდნელობაში, კონცენტრაციასა და აგრესიულ შეტევაში, გონიერ ხელმძღვანელობასა და გაბედულ მოქმედებებში, აქედან გამომდინარე, არსებული საშუალებები უნდა

**საბრძოლო მოქმედებებში  
ტანკებს საპერო თავდაცვა  
აუცილებლად ესაჭიროება**



გამოიყენონ მხოლოდ დანიშნულები-სამბრ! არ გამოიყენონ ტ/საწინააღმდეგო საშუალებები მოცირნაზე საშუალებებზე, ქვეითთა საბრძოლო მანქანები — ტანკებზე, დაზვერვა და ინჟინრები — ქვეითად, ტანკები — ჰაუბიცებზე (რისი მავალითებიც მრავლად იყო ავესტოს იმის დროს).

**ქართული სატანკო დანაყოფების გამოყენების მითითად პრინციპებზე უნდა დაინერგოს:**

- საბრძოლო გარემოსთან სწრაფად ადაპტირება;
- თამამი და აგრესიული მოქმედება;
- ორგანიზაციის და ტაქტიკის მაქსიმალური მოქნილობა;
- გადამწყვეტ მიმართულებებზე ბრძოლა ძალიან თავმოყრა.

მხოლოდ სამხედრო ზელოვნებაში არსებული ჯ/სატანკო დანაყოფების შეტყუებით მოქმედების მრავალი ტაქტიკური ზრხისგან საქართველოსთვის ყველაზე მისაღებად მიმართა შემდეგი მეთოდი (თუმცა ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: „შაბლონი კლავს ინიციატივას“), შესაბამისად აუცილებელია მათ დამოუკიდებელი მიდგომა):

**ტანკები ნი:** გამოიყენება სვლიდან დასაწყისს; მოწინააღმდეგე ან სუსტად ფორტიფიცირებულ თვდაცვის წინააღმდეგ; ღია რელიეფის პირობებში და როდესაც მოწინააღმდეგის ტ/საწინააღმდეგო საშუალებები სამივედ არის დათრგუნული. ამ დროს ტანკები ძალიან სიჩქარით მიდიან წინ, ქვეითები კი უკან მთავრებიან უკან ან ფლანგებიდან, იშვლებიან საბრძოლო წიბოში და ანადგურებენ ტ/საწინააღმდეგო საშუალებებს. მეთურ ყოვლისში მოქმედი ტანკები შექანინებული ქვეითები დაფარული პოზიციებიდან იწყებენ საჭრებო ელემენტ (ცეცხლი მხარდაჭერას, შემოღობვას და რანჩინალი მოწინააღმდეგეებზე წინააღმდეგ თვდაცვით პოზიციებს). ეს მეთოდი მნიშვნელოვანი მონაკვეთს სწრაფად გაკეთების საშუალებას იძლევა, თუმცა ამ დროს ტანკები ადვილად მოწყვლადია ახლო ბრძოლაში, ასევე ადვილად შეიძლება დაირღვეს მათი ურთიერთქმედება.

**ტანკები და ქვეითები ერთად:** გამოიყენება შტურმისთვის ძირე დისტანციებზე; ამ დროს შესაძლებელი ხდება სწრაფი, უწყვეტი და მჭიდრო ურთიერთობა. ტანკები საიმედოდ არიან დაცული ახლო ბრძოლაში.

**ქვეითები წინ:** გამოიყენება საწვისი ზღვიდან შეტყვის დროს, როდესაც დისტანცია მოწინააღმდეგეზე დიდია;

სრულად მომზადებული მოწინააღმდეგის თვდაცვის წინააღმდეგ; წყლიანი წინააღმდეგის ფორსირებისას; შეზღუდული შედეგლობის გარემოში (მთაში, ტყეში, ღამით, ნისლე და ა.შ.). ამ მეთოდის გამოყენებისას ტანკები უზრუნველყოფენ ქვეითების საცეცხლე მხარდაჭერას, შედეგ „ნახტომებით“ გადაადგილებიან წინ და მოწინააღმდეგის დაცვაში ქვეითებთან ერთად იჭრებიან. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეებია ტანკებისთვის კარგი საცეცხლე პოზიციების შერჩევის სირთულე სრლის საკმარისი სექტორით, განსაკუთრებით — ფლანგებზე.

